№ 163
სამშაბათი, 13 სექტემბერი

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 163
სამშაბათი, 13 სექტემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ხუთშაბათს, 15 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე, ტფილისის რომის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

სტეფანე კონსტანტინ ს ძის ზუბალაშვილის

სულის მოსახსენებლად, რის შემდეგ სოლოლაკის კათოლიკეთა სასაფლაოზე აკურთხებენ ძეგლს მიცვალებულის საფლავზე, რასაც იუწყება **ქნეინა იულია კონსტანტინეს ასული თუმანიშვილისა.**

პ. ნ. ფრიდონოვისა, სავაჭრო სიხლის „**ძმათა სეილანოვებისა, გ. ზ. გოზალოვისა, ზ. დ. პოპოვისა** და **ი. ა. ატოვმიანის**
ფაბრიკებმა ტფილისში დააარსეს

ამხანაგობა კონფეტების ფაბრიკისა „ფრიდონ“

ბატონ მომხმარებელთ ვსთხოვთ მიჰმართონ ხოლმე ფაბრიკის კანტორას: **პავლოვის ქუჩა,** სახლი № 12, ტელეფონი № 362 და „ძმათა სეილიევანოვებისა“, გ. ზ. გოზალოვისა და ზ. დ. პოპოვის მაღაზიებს. 3—1

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხელ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

ფრანგულ და ინგლისურ ენების მასწავლებელი

ეძებს გაკვეთილებს

ადრესი: „ივერიის“ რედაქციაში.

პირველი კერძო სამკურნალო

[illegible]

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.
ყ. ვ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
გ. აჰვერდიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. ბქელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ა. ვ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ვ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.
ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.
პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ვ. ა. ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 სუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტუშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ვაჭაძე სფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

პრესსის თავისუფლება

კიდევ იგივე... მოსაბეზრებელია ერთსა და იმავე საგანზე ათასჯერ წერვა, კიდევ უფრო მოსაბეზრებელია ერთ რისიმე ათასჯერ გაგონება და წაკითხვა.

პრესის თავისუფლება!.. აგერ წელიწადზე მეტია, რაც ამ თავისუფლებას დაჟინებით მოითხოვს ხალხი, წელიწადზე მეტია მას აქეთ, რაც ბიუროკრატია თან სხვადასხვა კომისიების მოწვევით ჰპირდებოდა ხალხს ამ თავისუფლების მიცემას, თან კიდევ ახალ ცირკულიარებით უფრო ავიწროვებდა ჟურნალ გაზეთების თავისუფლებას...

პრესის თავისუფლება! რუსეთში ხალხს კარზე მომდგარი აქვს სათათბიროსთვის წარმომადგენელთა არჩევა, და გაზეთებს კი ასარჩევ კანდიდატების შესახებ თავისუფლად ხმის ამოღება არ შეუძლიანთ, არ შეუძლიათ გამოაცხადონ, რომ ესა თუ ის კანდიდატი ხალხისთვის მავნებელია, რომ იგი ხალხის წარმომადგენლობას მხოლოდ ხალხისავე დასაჩაგრავად კისრულობს, არ შეუძლიათ იმიტომ, რომ ასეთი განცხადება სახელს უტეხავს კანდიდატს, და სახელის გატეხა კი არსებულ კანონით ისჯება... რა ვუყოთ, რომ ამ კანდიდატის შესახებ დასახელებული ფაქტები მართალი არის, კანონი ამ გვარ ფაქტების გამომჟღავნებასაც უკრძალავს ყველას, თუ ის ფაქტები სახელის გამტეხია. როგორ უნდა აარჩიოს ხალხმა საუკეთესო წარმომადგენლები, თუ მას კანდიდატების შესახებ სიმართლის შეტყობა არ შეეძლება?!..

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ხალხმა ასე თუ ისე მოახერხა სათათბიროსთვის წევრების არჩევა, მან უნდა იცოდეს, რამდენად შეასრულეს არჩეულებმა დავალებული, როგორ მოიქცნენ სათათბიროში. პრესსას კი არ შეუძლიან თავისუფლად გადასცეს სათათბიროში ნათქვამი. ხალხი მხოლოდ იმას შეიტყობს სათათბიროს შესახებ, რასაც სათათბიროს თავმჯდომარე ჩააწერინებს ოქმებში... ხალხის წარმომადგენლები ხალხს მოსწყდებიან, და რაკი მათში გაწყდება კავშირი, სათათბიროს ის ცოტაოდენი პატივისცემაც აღარ ექნება, რომელიც შეიძლებოდა ჰქონებოდა ხალხში... პრესსის თავისუფლება აუცილებელია ხალხის წარმომადგენლობის არსებობის დროს, უამისოდ კი ეს წარმომადგენლობა არარად იქცევა, მოკლებული ყოველგვარ გავლენას...

კავკასიაში, სადაც მძლავრად მიექანება წინ მოქალაქობრივ ცხოვრების განვითარება, სადაც ხალხი ცხოვრების ძველ წყობილებას ველარ ურიგდება და ცხოვრების განახლებას მოელის, სადაც ქალაქი და სოფელი ხელი-ხელ ჩაკიდებული მიისწრაფიან იდეალისკენ, პრესსის თავისუფლება უფრო საჭიროც არის, ვიდრე იქ, სადაც უწინდელი უმოძრაობაა გამეფებული. პრესსის თავისუფლება განსაკუთრებით კავკასიის იმ ნაწილებშია მწვავედ საგრძნობი, სადაც ხალხი მოქალაქობრივ ცხოვრებისთვის უფრო მომზადებულია, სადაც მას უფრო ეტყობა გამოფხიზლება..,

ამიტომ არის, რომ შეძრწუნდა ყველა, როდესაც პეტერბურგის გაზეთებში ამოიკითხა—,ვითომც ქართულ პრესას არ უპირებდნენ იმ შეღავათის მინიჭებას, რომელიც რუსულ პრესას უნდა მიანიჭონ რუსეთში. დღევანდელ ნომერში დაბეჭდილი მთავრობის განმარტება ცოტაოდნად ჰფანტავს საზოგადოების ეჭვსა და იმედსაც გვაძლევს, რომ რუსეთის ბიუროკრატია ამ საკითხში დაუთმობს ხალხის მოთხოვნილებას და შევიწროვების დარჩენით, თავისუფლების მოსპობით არ შექმნის ისეთ ვითარებას, რომელიც უფრო აალელვებს ისედაც აღელვებულ ხალხს და გააძნელებს ახლანდელ, საზოგადო კრიზის მშვიდობიანად დაბოლოვებას...

ახლა ისეთი დრო დადგა, რომ პრესსის შევიწროვება საზოგადოების გონებრივ ზრდას ველარ აჩერებს, ვერ შეაჩერებს ქართველ ერის საზოგადოებრივ განვითარებას ქართველ გაზეთების შევიწროვებაც და ამიტომ, ადრე იქნება თუ გვიან, ქართველ ხალხს ეს თავისუფლება ვარ ასცდება...

მით უფრო მაშინ, თუ სხვა ეროვნებათა პრესსას ექმნა მოპოვებული პრესის თავისუფლება...

ი. ლ—ძე.

მასწავლებელთა ერთობა.

იმ შემოქმედებითს მუშაობაში, რომელსაც ხალხი ეწევა ახალ საზოგადოებრივ განწყობილების მოსაწესრიგებლად, ერთი პირველ ადგილთაგანი ეკუთვნის აღზრდის საქმეს. და ეს ასეც უნდა იყოს. ხალხი, რომელიც ჯეროვანის ყურადღებით არ ეპყრობა თავის ახალ თაობის მომზადებას, კულტურულ განვითარებისათვის მუშაობასაც ვერ შესძლებს. აღზრდას ხალხის თვითშეგნებისა და გაცნობიერების საქმეში იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ იგი განსაკუთრებულ სიფრთხილესა და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

ჩვენმა ხალხმა დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ აღზრდის ნორმალურად მოწყობის საქმეში. ქუთაისის გუბერნიის სასოფლო მასწავლებლების მუშაობა საგრძნობელ კულტურულ წინსვლად უნდა ჩავთვალოთ. განსაკუთრებით იმიტომ არის ჩვენთვის ძვირფასი ეს მუშაობა, რომ ის ხდებოდა არა კაბინეტებში, არა კანცელარიულის წესით, არამედ ახალ დროის შესაფერ ატმოსფერაში. მასწავლებლები მუშაობდნენ, როგორც ხალხის წარმომადგენელნი, ხალხის ინტერესების დამცველნი, მათი ყურის მგდებელნი. ამიტომაც მათ შესძლეს საღის, ნორმალურ გეგმის შექმნა,—ისეთი გეგმისა, რომლის განხორციელება ხალხს დიდ სიკეთეს უქადის.

საჭიროა, რომ ამ გეგმას დიდი ყურადღებით მოეპყრან მთელი ჩვენი ქვეყნის მასწავლებლები. აქ განზე დადგომა მომასწავებელი იქნება ხალხის ღალატისა, ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებისა. ხსენებული გეგმა, როგორც ძირითადი პრინციპებით, ისე შინაარსის შემუშავების წესით, სრულიად ხალხის ინტერესებთანაა შეთანხმებული. რასაკვირველია, არავინ იტყვის, რომ ეს გეგმა უნაკლულო იყოს, რომ მას გაუმჯობესება და განვითარება არ მოელოდეს ცხოვრებაში. მაგრამ მისი ძირითადი აზრები რომ ჭეშმარიტია, ეს ყოველს ეჭვს გარეშეა. [illegible] ლები ამ გეგმას გვერდს არ აუხვევდნენ და მომხრეობას გაუწევდნენ, მაგრამ მოლოდინი არ გაგვიმართლდა. როგორც გაზეთებმა გადმოგვცეს, 29 აგვისტოს მომხდარა ზუგდიდის მაზრის მასწავლებლების კრება. ამ კრებას ასეთი, ახირებული დადგენილებაც მიუღია: მასწავლებლებს თავის საქმეში უპოვიათ რაღაცა წმინდა პედაგოგიური და პროფესიონალური საკითხები, რომელთა შესახებ თურმე ხალხის აზრის მოსმენა საჭირო არაა. მეტად საწყენია, რომ ზუგდიდის მაზრის მასწავლებლები ასეთის აზრისა ყოფილან. აღზრდის საქმე სოციალური საქმეა და ამ საქმეში ხალხის მონაწილეობა, მის განვითარებისათვის ყოველ მოქალაქის სამსახური არა თუ საჭიროა, პირდაპირ აუცილებელია, ეს მოქალაქობრივი მოვალეობაა. მასწავლებლები თვითონ უნდა სთხოვდნენ ხალხს,—მოდით, გაიგეთ ჩვენი საქმე, დაგვეხმარეთ, ერთად ვიმუშაოთ. არავითარ განკერძოებას, არავითარ პროფესიონალურ კედლის აგებას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მასწავლებლები მხოლოდ იმას დაგვიმტკიცებენ, რომ ისინი ჯეროვან საზოგადოებრივ სიმაღლეზე არ დგანან, არ აქეთ საკმარისად შეგნებული ის საქმე, რომელიც მათ უტვირთნიათ.

ყოვლად შეუწყნარებელია ძირითადი გადაწყვეტილებაც ზუგდიდის მაზრის მასწავლებელთა: ჩვენ, აქაურმა მასწავლებლებმა ცალკე კავშირი უნდა დავაარსოთ. განცალკევებისა და განკერძოებისადმი მისწრაფებამ საკმაოდ დააუძლურა ჩვენი ქვეყანა, საკმაოდ დაგვასუსტა და დაგვჩაგრა. დღეს ჩვენ ვსაჭიროებთ მთელი ჩვენი სამშობლოს შეერთებულ და შეთანხმებულ მოქმედებას კულტურულ საქმეების მოსაწყობად. მხოლოდ ამ შემთხვევაში არის მოსალოდნელი, რომ რაოდენადმე მაინც მოვიპოვებთ საღ განვითარების ნორმალურ პირობებს. მე მგონია, ვერც ერთი მასწავლებელი, რომელიც გულწრფელი მეგობარია ხალხისა, ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა გეგმაში ვერც ერთ მუხლს ვერ ჰპოვებს ისეთს, რომელიც მისაღები არ იყოს. მაშ, რაღა საჭირო იყო ასე განზე გადგომა? რატომ არ შეუერთდნენ ზუგდიდის მასწავლებლები მათ ამხანაგების გადაწყვეტილებას? ეგების, მათ ეშინოდათ მათის თვითმოქმედების შესუსტებისა? მაგრამ ეს ხომ სრულიად უსაფუძვლო შიშია. დემოკრატიული პრინციპი არსად არ ზღუდავს და არ ავიწროებს პიროვნების თვითმოქმედებას. ქუთაისის გუბერნიას მასწავლებელთა გეგმა კი ფართო თვითმოქმედების პრინციპზეა აგებული. ამ გეგმით ხალხი თვითონ განაგებს სკოლას. ყოველი საზოგადოება თვითონ ადევნებს თვალ-ყურს აღზრდის საქმეს და უძღვება მის სკოლის ცხოვრებას. ამაზე უფრო ფართო და სრული დამოუკიდებლობა განა წარმოსადგენია? მაშ, ასეთი გეგმის მიღება დაბრმავება კი არ არის, როგორც ზუგდიდის მასწავლებლებს ჰგონიათ, არამედ პირიქით მოქალაქობრივ სიმწიფის დამამტკიცებელია. იმ განკერძოებისადმი მიდრეკილებაში, რომელიც ზუგდიდის მასწავლებლებმა გამოიჩინეს, მე ეშინობ, რაღაც ცუდი სურვილი იხატება. ვაი თუ მასწავლებლებმა კალთაში თავი იმით ჩაუდეს, ვინც ჩვენი საღი კულტურულ განვითარების დაუძინებელი მტერი იყო და არის. ამიტომ მე საჭიროდ მიმაჩნია გავაფრთხილო როგორც ზუგდიდის მაზრის მასწავლებლები, ისე სხვებიც, რომელთაც ჯერ ჯეროვანად ვერ შეუგნიათ ხალხის ინტერესები და ამ ინტერესების მიხედვით მუშაობის საჭიროება: ნუ ეძებთ დამოუკიდებლობას ხალხის გარეშე. დამოუკიდებულობას ჰქმნის მხოლოდ ხალხთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მოქმედება. ნურც ფიქრობთ, რომ დღეის იქით შეგეძლოთ ისევე იმოქმედოთ, როგორც წინედ მოქმედებდით. ნუ ენდობით გარეშე ძალებს, თუ არ გსურთ შერცხვენილი გაირიყოთ ცხოვრებიდან! ნუ უღალატებთ ხალხს და მხოლოდ შეერთებულ მოქმედებაში ეძიეთ თქვენი მოქალაქობრივ მოქმედების განვითარება!

პეტრე სურგულაძე.

ამიერ-კავკასიის თვითმართველობა.

წერილი გ. ტომარასი.

ამიერ-კავკასიას დღეს თუ ხვალ რეფორმებს მიანიჭებენ: ერობას შემოიღებენ და სახელმწიფო სათათბიროშიც თავიანთ წარმომადგენლებს გაგზავნიან. მაგრამ... ამ რეფორმებს შეუძლიანთ ამიერ-კავკასიას დიდი უბედურება დაატეხონ თავზე. სახელმწიფო საბჭო კავკასიასაც ისეთივე კანონებს შეუდგენს, როგორც რუსეთის სხვა ქვეყნებს, კავკასიის საერობო დაწესებულებანი კი გზებს გააკეთებენ და სავადმყოფოებსა და სკოლებს ააშენებენ. ამ რიგად დიდი ხნით დამკვიდრდება და დაკანონდება ის წესწ-ყობილება, რომელმაც კავკასია დღევანდელ მდგომარეობამდის მიიყვანა, ის წესწყობილება, რომლის გაუქმების იმედი ჰქონდა კავკასიის ყველა მეგობარს მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანაში სანამესტნიკო აღადგინეს. ისე საჭიროება შეიგნოთ, თითქო ამიერ-კავკასიაში ბოლო მოეღო იმ სისტემას, რომლის ძალით კავკასიასაც რუსეთის ცენტრალიზაციის უქვემდებარებდნენ, და მის ნაცვლად დადგა ის დრო, როცა კავკასია დაადგება განვითარების ისეთ გზას, როგორიც შეეფერება იმის მოთხოვნილებებს, მის ისტორიას და ეკონომიურ ინტერესების თავისებურებას. მაგრამ ახლა ცხადია, რომ სრულიად რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დაარსებამ ამ იმედს ბოლო მოუღო: რუსეთში ახალი ირლანდია ჩნდება!

სანამესტნიკოს დაარსებით რუსეთის მთავრობამ კავკასია დანარჩენ რუსეთს ჩამოაშორა და ნამესტნიკს ფართო უფლებანი მისცა. მას შეუძლიან კავკასიისათვის სულ ახალი ზომები და კანონები მოითხოვოს. წინანდელი სისტემა ცენტრალიზაციისა და გარუსებისა ცხოვრებამაც დაჰგმო და თვითონ მთავრობამაც, მერე რა მდგომარეობაში ვარდება ამიერ კავკასია იმ ახალ სასათათბიროს დაარსების შემდეგ, რომელშიაც ამიერ კავკასიის წარმომადგენელნიც მიიღებენ მონაწილეობას? სათათბიროში იქნება, სულ ბევრი, 30—40 ისეთი წარმომადგენელი, რომელთაც კარგად ეცოდინებათ კავკასიის საჭიროებანი და მოთხოვნილებანი, მაგრამ ამ ერთ მუჭა წარმომადგენლებს წინ აღუდგება წარმომადგენელთა დიდი უმეტესობა, რომელმაც კავკასიისა არაფერიც არ იცის და რომელიც პრინციპიალურადაც დეცენტრალიზაციის წინააღმდეგი იქნება: ასეთები იქმნებიან ყველა ბურჟუაზიული ფრაქციები, კონსერვატორები, რადიკალები და სოციალ-დემოკრატებიც კი; ერთი სიტყვით, ყველა, ვინც კი ძლიერსა და ყველაფრის დამმონავებელ სახელმწიფოს ეტრფის. კავკასიის წარმომადგენლებს ნება ექმნებათ სათათბიროში თავიანთი კანონპროექტი შეიტანონ, მაგრამ განა შესაძლებელია ამ კანონპროექტს დეპუტატთა მესამედმა მოაწეროს ხელი? უამისოდ კი კანონპროექტს არც კი განიხილავენ. მერე რამდენი ჩხირკედელაობაა საჭირო, რომ ნამესტნიკსაც შეეკითხნონ; უამისოდ კი ვერც ერთი კანონპროექტი ვერ გადაიქცევა კანონად.

კავკასიის დეპუტატების მდგომარეობა სახელმწიფო სათათბიროში აუტანელი იქნება. ფაქტიურად იმათ კენჭი არ ექნებათ, ისე კი სათათბიროში უნდა ისხდნენ და თვალყური ადევნონ ისეთ კანონების შედგენას, რომელნიც ერთსა და იმავე დროს არხანგელსკის გუბერნიის მცხოვრებთაც გამოადგებათ და გურულებსაც, ტამბოველებსაც და ოსებსაც, თვალ-ყური ადევნონ ისეთ კანონების შედგენას, რომელთაც კავკასიის ეკონომიური ზრდა შეაჩერეს, ყველა ეროვნება რუსეთის წინააღმდეგ აამხედრეს და მთელ კავკასიას ცეცხლი წაუკიდეს.

მაგრამ ვთქვათ, რომ ყოველნაირი დაბრკოლება იძლია და ყველა ცენტრალიზაციის მოყვარე პარტიებმა კავკასიას უფლება მისცეს ისეთი ცხოვრებისა, როგორიც მას ესაჭიროება. მაგრამ ვინ იტყვის, რომ კავკასიისა და უფრო კი ამიერ-კავკასიის ისეთი საქმენი და საჭიროებანი, რომელნიც რაც შეიძლება მალე უნდა გადასწყდნენ, მართლა მალე გადასწყდებიან და ამით ამ ქვეყნის ცხოვრებას ნორმალურ კალაპოტში ჩააყენებენ? იმ ქალაქების საბჭოებში, სადაც ხმოსნები რადიკალები და პროგრესისტებიც არიან, ყოველთვის ჯერ ქალაქის საუკეთესო უბნებისა და ცენტრის საქმეებს იხილავენ და განაპირა უბნების საქმეებს კი სამერმისოდ გადასდებენ ხოლმე. სახელმწიფო სათათბიროსაც ცენტრის იმოდენა საქმე აქვს, რომ შეუძლებელია სათათბიროს უმეტესობამ საკუთარი საქმეები გადასდოს და კავკასიის საქმეებს მოჰკიდოს ხელი. კავკასიის საქმეების გადადება კი შეუძლებელია, თორემ ადვილი შესაძლებელია, რომ ამ ქვეყანაში ხელმეორედ დაიღვაროს აუარებელი სისხლი.

ხშირად გვესმის, რომ სახელმწიფო სათათბირო ადგილობრივ თვითმმართველობის რეფორმას მოახდენსო, მაგრამ ამავე დროს აცხადებენ, რომ თვითმმართველობას არც ბიუჯეტის განაწილების უფლება მიენიჭება არც კანონმდებლობისა და არც ადმინისტრაციის ორგანიზაციისა; მას ექნება მხოლოდ ფართო ერობის უფლება. ამას ისიც დაუმატეთ, რომ სათათბიროში ყველაზე წინ უნდა განიხილოს აგრარული საკითხი, ებრაელთა საკითხი, პრესსის თავისუფლება და სხ. და სხ, მერე ყველა ეს ისეთი საკითხებია, რომ თითო მათაგნს სათათბირო ორ და სამ თვეშიაც ვერ განიხილავს, ისიც ისეთ ახალ დაწესებულებაში, როგორიც არის სახელმწიფო სათათბირო. დასავლეთ ევროპის პარლამენტებიც კი, რომელთაც დიდი გამოცდილება აქეთ, თითო ამისთანა საკითხის გადაწყვეტას მთელის წლობით უნდებიან ხოლმე. ადვილი წარმოსადგენია, თუ როდის გადასწყვეტავს კავკასიის საკითხს (თუ მართლა გადასწყვიტა) სახელმწიფო სათათბირო.

მაგრამ როგორი რეფორმა უნდა კავკასიას, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ამიერ-კავკასიას, რად- [illegible] რუსეთის გუბერნიებს შეუერთონ?

კავკასიაში სანამესტნიკოს აღდგენა ცხადად არკვევს იმ გზას, რომელსაც უნდა დაადგეს რუსეთის მთავრობა 6 აგვისტოს რეფორმის შემდეგ: **საჭიროა ამიერ-კავკასიისთვის ცალკე წარმომადგენლობის შემოღება.** სახელმწიფო საბჭოს მოვალეობას შეასრულებს ნამესტნიკის საბჭო. მეორე ხარისხოვან დადგენილებათა დამტკიცება შეიძლება მიენდოს ნამესტნიკს, ხოლო პირველ ხარისხოვან დადგენილების დამტკიცება უმაღლეს მთავრობის საქმე იქნება. მხოლოდ ამისთანა რეფორმის მოხდენის შემდეგ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ამიერ-კავკასიას ისეთი პირები შეუდგენენ კანონებს, რომელნიც კარგად იცნობენ ადგილობრივ საქმეებს, ხალხის საჭიროებასა და იმის მოთხოვნილებას. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის სათათბიროსთვის შემოღებული საარჩევნო დებულება ამიერ-კავკასიას არ გამოადგება. მისთვის გამოსადეგი და საჭიროა მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაო საარჩევნო უფლება.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა უფლება ექნება მინიჭებული ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობას. აქაც ისევე, როგორც საზოგადოდ ყოველგან საჭიროა მხოლოდ გამბედაობა, ნახევარ ზომები კი საქმეს ვერაფერს უშველიან. პირდაპირ და გულ-ახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ თავის საქმეები და საჭიროებანი ამიერ-კავკასიამ ყველაზე კარგად ისევ თვითონ იცის, ამიტომ აუცილებლად საჭიროა, მას რაც შეიძლება ფართო ავტონომია მიენიჭოს. ტყუილი შიშია, ვითომ ეს ავტონომია იმპერიას დააქუცმაცებს და ადგილობრივ ეროვნებებს ერთმანეთს გადაჰკიდებს. კავკასიელები დაარსებენ უმაღლესს სასწავლებლებს, ადგილობრივ ზნე-ჩვეულებათა მიხედვით შეიმუშავებენ სამოსამართლო დებულებას და შეჰქმნიან ადგილობრივ ეკონომიურ სისტემას. ეს არც იმპერიას დააქუცმაცებს და არც ეროვნებათა შორის შუღლს ჩამოაგდებს.

კავკასიის წარმომადგენლობას უნდა ჩამოერთვას მხოლოდ ის საკითხები, რომელნიც საჭირო არიან იმპერიის მთლიანობის დასაცავად, ე. ი. გარეშე საქმეები, სამხედრო, საზღვაო და საბაჟო უწყება და ფულის რეგალიები. დანარჩენი კი—ადმინისტრაცია, სასამართლო, სახალხო განათლება, სასულიერო და გზების საქმეები თვითონ ამიერ-კავკასიას უნდა მიენიჭოს. მას უნდა ჰქონდეს საკუთარი ბიუჯეტი და ფინანსიური სამმართველო. ამიერ-კავკასიამ რუსეთის საერთო ხაზინაში ყოველ წლივ უნდა შეიტანოს მხოლოდ იმდენი ფული, რამდენიც მას წილად ხვდება რუსეთის საერთო დაწესებულებათა შესანახად, ე. ი. რაც დასჭირდება ჯარსა, ფლოტსა, გარეშე საქმეთა სამინისტროს, ვალების გადახდას და სხვ.

აი, მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ამ საერთო საქმეების მართვა-გამგეობაში უნდა მიიღონ მონაწილეობა ამიერ-კავკასიის წარმომადგენლებმაც სახელმწიფო საბჭოში.

ცხადია, რომ ადგილობრივ ყველა საჭიროებას ეს დაწესებულება ვერ გასწვდება, იმიტომ რომ ამიერ-კავკასიაში მრავალი ისეთი სხვა და სხვა ეროვნება სცხოვრობს, რომელთაც თავიანთი საკუთარი მოთხოვნილებანი და საჭიროებანი აქვთ. ამის გამო საჭიროა, ყოველი ეკონომიურ და ეროვნულ ერთეულებსაც, რაც შეიძლება, ფართო თვითმმართველობა მიენიჭოთ („რაზ.“).

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 სექტემბერი.

დონის-როსტოვი, 10 სექტემბერი. სათადარიგო ჯარის-კაცთა ოჯახების დასახმარებლად როსტოვის საოლქო კომიტეტი არსდება.

ხარკოვი, 10 სექტემბერი. ნახშირის ფასმა აიწია. სახაზინო რკინის გზები რვა კაპეიკს აძლევენ.

ჰელსინგფორსი, 10 სექტემბერი. გაზეთების ცნობები იმის შესახებ, ვითომც „ფინლიანდიის გაზეთი“-ს რედაქტორი ჰელსინგფორს თავს ასებებდეს, სიმართლეს მოკლებულია.

ბაქო, 9 სექტემბერი. ნამესტნიკმა დამწვარი ქარხნები დაათვალიერა. უკვე გამოირკვა, რომ საავადმყოფოდან და მანთაშევის ქარხნიდან სომხები ჯარსა და თათრებს ესროდნენ. აქვე აურებელი იარაღი და ყუმბარები აღმოაჩინეს. ადგილობრივმა თათრებმა ნამესტნიკს მიართვეს თხოვნა, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ სომხების ორგანიზაცია მათ წინააღმდეგ ტერორს ხმარობს. ნამესტნიკი მხოლოდ იმიტომ დარჩა, რომ სომხები და თათრები შეარიგოს. ორი ქვეითა, ერთი კაზაკთა პოლკი და საარტილერიო ბატარეა მოვიდა. გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით იარაღს ართმევენ.—სადგურ ქიურდამირში დაიჭირეს სომხის მღვდელი, რომელსაც შემახაში ყუმბარები, თოფები და პატრონები შეჰქონდა.

პეკინი, 10 სექტემბერი. ჩინეთის მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ჯარისა და ფლოტის გასაუმჯობესებლად ლონდონისა, პარიზისა და ნიუ-იორკის ბანკირებისაგან ფული ისესხოს. ამის შემდეგ ჩინეთი აღარავითარ ყურადღებას არ მიაქცევს შეერთებულ სახელმწიფოთა 1900 წლის დადგენილებას, რომელიც ჩინეთში იარაღისა და სამხედრო მასალის შეტანას უკრძალავს და ამის შესახებ ოფიციალურად სახელმწიფოებს კიდეც შეატყობინებს.

ტოკიო, 10 სექტებერი. წარსულ ღამეს 22 კაცი დაატუსაღეს; ამათ შორის ორი რედაქტორიც არის; ერთი გაზეთ „ნიროკუ“-სი, მეორე—„შიმპოის“-სა.

ვაშინგტონი, 11 სექტემბერი. ტოკიოში მყოფ ამერიკის ელჩმა სახელმწიფო დეპარტამენტს გადასცა ცალი იმ შეთანხმებისა, რომელიც იაპონიამ და კორეამ შეჰკრეს და რომლის ძალითაც სავაჭრო გემებს შეუძლიათ შესვლა კორეის შინაგან წყლებში, თუ წელიწადში 15-დან 150-მდე იენს გადაიხდიან.

მუშაობა დაამთავრა. შვეციასა და ნორვეგიის შორის სრული შეთანხმებაა. სხდომების ოქმებს მომავალ კვირას ერთსა და იმავე დროს ქრისტიანიასა და სტოკჰოლმში გამოაქვეყნებენ.

რომი, 11 სექტემბერი. კალაბრიაში საშინელი ქარიშხალი მძვინვარებს.

ვენა, 11 სექტემბერი. გრაფი ზირაკი, რომელიც კოალიციის მეთაურებთან მოსალაპარაკებლად დაინიშნა, ტისსის ბრმა მომხრეა და უნგრეთშიაც არავის უყვარს. უნგრეთის დეპუტატმა სემეგიმ შენიშნა, რომ გენის პოლიტიკა, ოპოზიციის საბედნიეროდ, იქამდის მიიყვანს, რომ უნგრეთი იმ პარტიას მიემხრობა, რომელიც დამოუკიდებლობას ჰქადაგებსო.

ბუდაპეშტი, 11 სექტემბერი. საკოალიციო კაბინეტის დაარსება, როგორც ეტყობა, შეუძლებელია. ფეიერვარი ვენაში გაიწვიეს.

ტოკიო, 10 სექტემბერი. „მიკაზა“-ს დაღუპვის მეორე დღეს, უფროსმა ივიგიმ, რომელიც გემის დაღუპვის დროს ზედ არ იყო, გადარჩენილი ხალხი შეაგროვა, წარმოსთქვა პატარა სიტყვა, განაცხადა, რომ გემის დაღუპვაში ის თავის თავს სთვლის დამნაშავედ და ფანჯრიდან გადავარდა. ივიგის თავის მოკვლა უნდოდა, მაგრამ ძალიან დაშავდა და ახლა სამხედრო საავადმყოფოში წევს. ივიგის მდგომარეობა ძალიან საშიშია (რეიტერი).

პეტერბურგი, 10 სექტემბერი. დღეისთვის დანიშნული სხდომა განსაკუთრებულ რჩევისა გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით, უკანასკნელის ავადმყოფობისა გამო, ორშაბათისთვის გადაიდო.

ტოკიო, 10 სექტემბერი. ჯავშნიანი გემი „რეტვიზანი“ გუშინ წყლიდან ამოიღეს.

ბაქო, 10 სექტემბერი. „ტაიმს“-იდან—„რუსსკოე სლოვო“-ში გადმობეჭდილი ცნობა, ვითომც „ტაიმს“-ის თანამშრომელს ბაქოში მომხდარ ამბების გამო ნამესტნიკთან ელაპარაკოს,—სრული სიცრუეა. თანამშრომელს ნამესტნიკთან არ ულაპარაკნია.

პორტ-საიდი, 10 სექტემბერი. გემს „ჩატამს“-ს, რომელიც სუეცის არხში დაიღუპა, მომავალ ოთხშაბათს ააფეთქებენ. ფიქრობენ, რომ არხი ორი კვირის განმავლობაში დაკეტილი იქნებაო.

ბაქო, 10 სექტემბერი. ოფიციალური. გენერალმა თაყაიშვილმა ნამესტნიკს აუწყა, რომ დღეს აგდამში შეიხ-ულ-ისლამის, ეპისკოპოს აშატისა და გენერალ თაყაიშვილის თანადასწრებით, სომხებმა და თათრებმა ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ ყოველგვარ უთანხმოებას დაივიწყებენ და მიიღებენ იმ ღონისძიებებს, რომლებიც დროებით გენერალ-გუბერნატორის თანადასწრებით შეიმუშავეს და რომლებიც გუბერნიის ორივე ეროვნებამ მოიწონა და მიიღო.

პარიზი, 10 სექტემბერი. დღეს, დილით, ვიტტე ორი საათი გრაფ რადოლინს ელაპარაკებოდა. ლაპარაკს ბარონი როზენიც დაესწრო.

ვენა, 10 სექტემბერი. იმპერატორმა დღეს დილით ანდრაში, ბარონი ბანფი, კოშუტი და ზიჩი მიიღო და წინადადება მისცა, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებს, ისეთი წინადადება წამოაყენონ, რომლების მიღებაც, თანახმად მთავრობის პროგრამისა, შესაძლებელი გახდება.

პეტერბურგი, 10 სექტემბერი. საკითხს საყოველთაო სწავლის შემოღების შესახებ, როგორც ,,სლოვო'' გადმოგვცემს, სახელმწიფო სათათბიროში ჯერჯერობით არ გაიხილავენ.—პეტერბურგის სტუდენტების უმრავლესობამ გადასწყვიტა, სწავლა განაახლოს.

ბერლინი, 10 სექტემბერი. ბერლინის საელექტრონო ქარხნებში გაფიცვამ შეიძლება საშიში ხა- ათასი კაცი არა მუშაობს, მაგრამ ადვილად შესაძლებელია, რომ ამხანაგებს დანარჩენი მუშებიც მიემხრონ.

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი. რუზველტმა კონგრესს მიმართა და წინადადება მისცა, პრეზიდენტ კასტროს წინააღმდეგ ენერგიული ზომები მიიღოს.

პეკინი, 11 სექტემბერი. იმ დროს, როდესაც პარლამენტარიზმის გასაცნობად დანიშნული კომისია პეკინიდან ევროპისაკენ მიემგზავრებოდა, ერთს ვაგონში ყუმბარამ იფეთქა. კომისიის ათი წევრი მძიმედ დაშავდა. თვით ყუმბარის გადამგდები ნაკუწ-ნაკუწებად იქცა.

გროდნა, 11 სექტემბერი. სამღვდელოებათა და ერის კაცთა საეპარქიო კრებამ მუშაობა დაამთავრა. განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი საკითხები: საეკლესიო წიგნების შესწორება, სასულიერო სასწავლებლების რეორგანიზაცია, განთავისუფლება სამღვდელოებისა მეტის-მეტ კანცელარიზმისგან, სამხანაგო სასამართლოს შემოღება და საეკლესიო-საადმინისტრაციო ცხოვრების ზოგიერთ დარგში საარჩევნო პრინციპის აღიარება.

ვარშავა, 11 სექტემბერი. რადგანაც შორეულ აღმოსავლეთში გემებმა მიმოსვლა უკვე დაიწყეს, ზოგიერთმა ფირმებმა მანჯურიასა, ჩინეთსა და იაპონიაში თავისი კომმივოიაჟერები გაგზავნეს.

ჰელსინგფორსი, 11 სექტემბერი. აბოში ცხრაასი სალდათი მოკვდა, ვაზაში—840, ტავასტგუსში—720 და ჰელსინგფორსში 8 სექტემბერს—201, 9 სექტემბერს—200, 10-ს—980 სალდათი. ვაზაში მოვიდა კრეისერი „აზია“, რომელმაც აფეთქებულ გემიდან იარაღი უნდა წაიღოს. პოლიციურმა გამოძიებამ გემისა და ტორნეის შუა იარაღის საწყობები ვერ აღმოაჩინა.

ვენა, 11 სექტემბერი. შუადღისას იმპერატორმა მიიღო გრაფი ჩირაკი, რომელმაც აუწყა, რომ კოალიციურ პარტიის რჩევა მოხდაო.

ბერლინი, 11 სექტემბერი. ვიტტე საღამოს ექვს საათზე მოვიდა.

მოსკოვი, 11 სექტემბერი. ფინანსთა მინისტრი პეტერბურგში წავიდა. ვაჭრობის განყოფილების გამგე ფედოროვი კიევში წავიდა.

პეკინი, 11 სექტემბერი. ყუმბარას, სხვათა შორის, ყოფილი ვაშინგტონელი ჩინეთის ელჩიც დაუჭრია.

პარიზი, 11 სექტემბერი. ვიტტეს ოფიციალური ვიზიტები, განსაკუთრებით ის გარემოება, რომ მან ლუბე და რადოლინი ინახულა, მცხოვრებლებზე კარგს შთაბეჭდილებას ახდენს.

ლონდონი, 11 სექტემბერი. საზღვაო ბაზების გამართვას ჰიბრალტარსა, დუვრსა და სინგაპურში აპირობენ. ვეი-ჰაი-ვეის, ტრინკომალის, გალიფაქსის და ესკიმოს თავს ანებებენ.

სტოკჰოლმი, 11 სექტემბერი. უნიის გაწყვეტის გამო, რჩევაზე, რომელიც პრინც რეგენტის თავმჯდომარეობით მოხდა, გადასწყვიტეს, რიკსდაგი 19 სექტემბერს მოიწვიონ.

ბაქო, 11 სექტემბერი. თათრებმა და სომხებმა გადასწყვიტეს, ოქტომბერში მთელის კავკასიის სომხეთა და მაჰმადიანთა კრება მოახდინონ. 1907 წლის პირველ იანვარამდე უნდა იზღოს დაღუპული ქონება, დახმარება უნდა აღმოუჩინონ დახოცილთა ოჯახებს, აგრეთვე დაჭრილთა და დასახიჩრებულთ. სხვადასხვა წვრილ უთანხმოებათა გამოსარკვევად ინიშნება სამედიატორო სასამართლო, რომელშიაც ხუთი სომეხი და ხუთი მაჰმადიანი იღებს მონაწილეობას.

შეთანხმება ძალაში პირველ ოქტომბრიდან შედის.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ზოგი ჭირი მარგებელია. „რუსს“ ატყობინებენ: იაპონიაში, ქ. ხიმეჯიში იაპონელებმა ტყვე რუსებს რუსული სკოლა დაუარსეს და რუსულ წერა-კითხვის მასწავლებლად ისევ იაპონელები დაუნიშნეს. ჯერ სკოლაში მხოლოდ სამოცი რუსი სალდათი მივიდა, მაგრამ მერე მოსწავლეთა რიცხვი ათასამდე ავიდა. იაპონელებმა ისე მალე და კარგად ასწავლეს წერა-კითხვა უვიც რუსებს, რომ იმათ, ერთი თვის შემდეგ, რუსეთში საკუთარ ხელით დაწერილი წერილები გამოგზავნეს. ია, ოპელების სიტყვით, ტყვე რუსების ცხრა მეათედმა წერა-კითხვა არ იცის. ამ ცნობას «სინ. ოტეჩ.» უმატებს: „დიდი მადლობა უნდა გადაეუხადოთ იაპონელებს. მაგრამ უბედურობა ის არის, რომ სამაგიეროს ვერ გადუხდით, რადგან, ჯერ ერთი, ყველა ტყვე-იაპონელებმა უჩვენოდაც იციან წერა-კითხვა და, მეორე—რომ არც იცოდნენ, მასწავლებლებს, სულ ერთია, ვერ ვუშოვითო“.

ირლანდიის პარტიის კრება. ამ თვის დასაწყისს დუბლინში მოხდა კრება ირლანდიის საპარლამენტო პარტიისა, სადაც უნდა განეხილათ ირლანდიის პარტიაში მომხდარი განხეთქილება, რომელიც ირლანდიის შეერთებულ ლიგის ბელადად ნამყოფმა ბრაიენმა გამოიწვია თავის კამათით ირლანდიის საპარლამენტო პარტიის ბელადთან ჯონ რედმონდთან. კრებამ მოიწონა ის პოლიტიკა, რომელსაც ადგია შეერთებულ ლიგის ეროვნული დირექტორია და საპარლამენტო პარტიის მოქმედება და პოლიტიკა, რომელსაც რედმონდი უდგა სათავეში. გარდა ამისა, კრებამ იმედი გამოსთქვა, რომ ეროვნული კონვენტი, რომელიც წლის დამლევს უნდა შეიკრიბოს, საპარლამენტო პარტიის ტაქტიკასა და პოლიტიკას მოიწონებს. ამ რიგად ლიბერალი და ზომიერი ბრადენი დამარცხდა, გამარჯვება კი ისევ მებრძოლ რედმონდს დარჩა.

რეფორმები რუსეთში

„ნოვ. დნია“ განაგრძობს პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლების იმ პროფესორთა და მეცნიერთა სიას, რომელთაც დებულების ძალით **სახელმწიფო სათათბიროში საარჩევნო კენჭი არ ეძლევათ.** სიაში ჯერ-ჯერობით მოთავსებულია 48 პროფესორისა და მეცნიერის გვარი და სახელი (გარდა იმათი, რომელთა სია იმ დღეებში იყო დაბეჭდილი); სიას ბოლოში აწერია,—„შემდეგი იქნება—მაშასადამე, იმედია, რომ მთელი რუსეთის პროფესორები მოექცევიან ამ სიაში. ზემოხსენებულ სიაში, სხვათა შორის, შემდეგ გვარებსაც ვკითხულობთ:

ჟდანოვი, უნივერსიტეტის რექტორი.

დ. მენტრაჟეცკი, განთქმული და ყველასაგან პატივცემული პროფესორი:

ი. ბურგმანი, პროგრესისტი, ცნობილი სახალხო მოღვაწე;

ი. გრევსი, ისტორიკოსი და რადიკალი;

ნ. ლოსკი, „ვოპრ. ჟიზნი“-ს რედაქტორი;

ვ. გესენი და ა. კამინკა, ჟურნალ „პრავოს“ მუდმივი თანამშრომლები;

ი. პოკროვსკი, ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერი;

ნ. მარრი, ქართულ და სომხურ ლიტერატუ- [illegible]

ტორნებცკი, სამხედრო-სამედიცინო აკადემიის უფროსი;

დ. ოტტო, ლეიბ-აკუშერი და საქალებო საექიმო ინსტიტუტის დირექტორი;

ა. ვორონოვი, ტექნოლოგიურ ინსტიტუტის უფროსი;

კირპიჩევი, კიევის პოლიტეხნიკუმისა და ხარკოვის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის დირექტორად ნამყოფი და პოლიტიკური „დამნაშავე“;

ბოგუსლავსკი, ცნობილი მეცნიერი ინჟინერი;

ი. გორდეენკო, ცნობილი პროფესორი და პოლიტიკური ,,დამნაშავე''.

კოცოვსკი, სამთო ინსტიტუტის დირექტორი;

კონოვალოვი, ცნობილი ქიმიკოსი და სამთო ინსტიტუტის დირექტორად ნამყოფი;

ნ. სულტანოვი, სამოქალაქო ინჟენერთა ინსტიტუტის დირექტორი;

კაჩალოვი, ელექტრო-ტეხნიკურ ინსტიტუტის დირექტორი;

ვერნი, სატყეო ინსტიტუტის დირექტორი;

დ. ხოდსკი, ,,ნაშა ჟიზნ''-ის რედაქტორი და სხ. და სხ.

◆ როგორც ამბობენ, ამ დღეებში **გამოაცხადებენ დროებით კანონს პრესისს შესახებ.** პრესსას ნება მიეცემა თავისუფლად სწეროს მხოლოდ იმაზე, რაც სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების მოხდენას შეეხება. დროებითვე გაუქმდება საცენზურო დებულების მე-140 მუხლი. მერე კი, როცა არჩევნები გათავდება, ეს კანონიც გაუქმდება და ისევ ძველი ,,წესიერება'' ჩამოვარდება (რ. ვ.).

◆ „სლოვოს“ თანამშრომლისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროში უთქვამთ, რომ **საკითხი კრებისა და კავშირების შესახებ ჯერ არც გადაწყვეტილია და არც შემუშავებულიო.** გაზეთების მიერ დაბეჭდილი ამბები ამ საკითხის შესახებ ნაადრევია და ადვილი შესაძლებელია, რომ კრებებისა და კავშირების თავისუფლების საკითხი სულ სხვა ყალიბზე ჩამოისხას. ერთის სიტყვით, ახალი აქ არაფერია და იმედია, რომ წელს ყველაფერი ძველებურად დარჩება (რ. ვ.).

◆ საზღვაო მინისტრი **ბირილოვი ფლოტის განწმენდას შეუდგა** და ორი თვის განმავლობაში ადგილიდან დაითხოვა: 1 ვიცე-ადმირალი, 1 კონტრ-ადმირალი, 9 კაპიტანი პირველ ხარისხისა, 8-მეორე ხარისხისა, 11 ლეიტენანტი, 1 გენ. ლეიტენანტი, 1 გენ. მაიორი, 6 პოლკოვნიკი, 3 პოდპოლკოვნიკი, 4 კაპიტანი, 1 პორუჩიკი და 3 პრაპორშჩიკი ფლოტისა; გარდა ამისა, 14 აფიცერი საზღვაო უწყებიდან სამხედრო უწყებაში გადაიყვანეს. ამ გადაყვან-გადმოყვანითა და დათხოვნით მინისტრს ფლოტის განახლების იმედი აქვს (რ. ვ.).

◆ ვოლოგდის ქალაქის საბჭომ შემდეგი **რეზოლუცია მიიღო:** ,,ვოლოგდის ქალაქის საბჭო მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ სახალხო წარმომადგენლობის ნაყოფიერი შრომა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთში გამოცხადდა საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლება ფარულ კენჭის ყრით და ხალხს უსაჭიროესი მოქალაქობრივი უფლებანი მიენიჭა: თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებებისა, კავშირებისა, პიროვნების ხელშეუხებლობა და პოლიტიკურ რწმენისთვის დასჯილთა განთავისუფლებით'' (რ. ვ.).

◆ შიდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში უკვე **დაიწყო საარჩევნო აგიტაცია** სახელმწიფო სათათბიროში (რ. ვ.).

ახალი ამბავი

◆ კვირას, 11 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, საგანგებო მატარებლით ტფილისში ჩამოვიდა კავკასიის **ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი** მეუღლითურთ. ნამესტნიკს თან ახლ—

ფელეტონი

დეცენტრალიზაცია და თვითმართველობა საფრანგეთში *)

ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია შესაძლებელია ყველგან და ყველაფერში: სახელმწიფო წესწყობილებაში, ეკლესიაში, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში, პოლიტიკურ პარტიებში, პროფესიონალურ კავშირებში და სხ. ძნელია განყენებულად იმის გადაწყვეტა, თუ რომელი მათგანი სჯობია; ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რისთვის. იხმარება ეს იარაღი. შეიძლება ერთი მათგანი ერთ მიზნისათვის კარგიც იყოს, ხოლო მეორესთვის არ ვარგოდეს. მისი კარგობა და უვარგისობა არც იმით განიზომება, თუ რომელი პოლიტიკური პარტია თხოულობს მას. ხშირად შეხვდებით, რომ ერთმათგანს—ცენტრალიზაციას, ან დეცენტრალიზაციას—ერთ და იმავე დროს თხოულობენ უკიდურესი რევოლუციონერებიცა და უკიდურესი რეაქციონერებიც.

ასეა რუსეთშიაც: ესერები, ფედერალისტები და პროგრესისტ-ავტონომისტებიც თხოულობენ დეცენტრალიზაციას და „მოსკოვ. ვედ“-ტიც, რომელსაც დეცენტრალიზაცია, რასაკვირველია, თავისებურად ესმის. ამ გაზეთის აზრით, მთელი რუსეთი ოლქებად უნდა დაიყოს და ჩაჰბარდეს გენერალ-გუბერნატორებსა და ნამესტნიკებს, რომელთაც თითქმის თვითპყრობელის უფლება ეძლევათ. ერთი მხრივ ეს მართლა დეცენტრალიზაციაა, მაგრამ მეორე მხრივ ესევე პარტია სრულს ცენტრალიზაციას თხოულობს. ამ პარტიის პროგრამა მოკლედ ასე გამოიხატება: ადმინისტრატიული დეცენტრალიზაცია და საკანონმდებლო ცენტრალიზაცია. უკიდურესი მემარცხენეთა პარტიასაც—ს.-დემოკრატიას—ამ მხრით გვერდში უდგანან რუსეთის რეაქციონერები, რომელნიც მათსავით სრულს ცენტრალიზაციას თხოულობენ,—რასაკვირველია, სულ სხვა მოსაზრებითა და მიზნით.

ასევე იყო საფრანგეთშიაც: დეცენტრალიზაციას თხოულობდნენ ლიბერალები, რადიკალები და ზოგიერთა მონარქისტები, ცენტრალიზაციას კი—რევოლუციონერები და ლეგიტიმისტები. თუ რით ხელმძღვანელობდნენ ზემოხსენებული პარტიები, ქვევით დავინახავთ. დღეს საფრანგეთში ცენტრალიზმია გამეფებული, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ საფრანგეთი რუსეთისთვის ცუდი მაგალითია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ საფრანგეთი პატარა სახელმწიფოა და, მაშასადამე, ცენტრალიზაციაც უფრო ადვილი მოსახერხებელია და მისი უვარგისობაც ისე ნათლად არა სჩანს, როგორც რუსეთში; მეორე და უმთავრესი,—საფრანგეთში მხოლოდ ერთი ეროვნება ცხოვრობს, რუსეთში კი ძალიან ბევრი, რის გამოც ამა თუ იმ ერის ეროვნულ და კულტურულ თავისებურობისა და თავისუფლების დაცვის საჭიროება პირდაპირ მოითხოვს დეცენტრალიზაციას. სწორედ ტერიტორიის სიმცირითა და უფრო კი ეროვნულ ერთიანობით მოხდა, რომ საფრანგეთი მთელ ქვეყანაზე ცენტრალიზაციის მაგალითად გახდა, ინგლისი კი, თავის უზარმაზარ ტერიტორიისა და მრავალ ეროვნების გამო დეცენტრალიზაციის მაგალითად არის დასახული.

1789 წლის რევოლუციამ ძირიან-ფესვიანად შესცვალა საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრება. მონარქიის დროს გამეფებული, უკიდურესი ცენტრალიზმი დიდმა რევოლუციამ დედა-მიწის პირიდან აღგავა და იმის მაგივრად ფართო თვითმართველობა და სრული დეცენტრალიზაცია დაამყარა: ათი წლის განმავლობაში დეპარტამენტები თითქმის დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ. უკიდურეს ცენტრალიზმით გაბრაზებულმა ხალხმა და ახალმა მთავრობამ საქმის გამოკეთება მეორე უკიდურეს პოლიუსზე გადახტომით სცადა: დეპარტამენტებს ფართო თვითმართველობა მისცა და ადგილობრივ საქმეების მართვა-გამგეობა და მოწყობაც სავსებით მას ჩააბარა. რამდენიმე წლის შემდეგ, ამ ნახტომმა ისეთი ნაყოფი გამოიღო, რომელსაც არავინ არ მოელოდა,—არც მთავრობა და არც ხალხი: სახელმწიფო დაქუცმაცდა, ყველაფერი აირ-დაირია. დეპარტამენტები ვერც ცენტრალურ მთავრობას შველოდნენ და ადგილობრივაც ვერაფერი გააკეთეს, მთელ პროვინციაში უთავბოლობა, ძარცვა-გლეჯა, ქურდობა და ძალმომრეობა გამეფდა. ხალხიც ამას ხედავდა და ახალ მთავრობისადმი ნდობას ჰკარგავდა. რევოლუციის შადრევნასა და ენერგიის დახარჯვას ჩვეულებრივი რეაქცია, დასვენება და გულგრილობა მოჰყვა.

ნაპოლეონ პირველმა მშვენივრად ისარგებლა ხალხის ამგვარ სულიერ მდგომარეობით და ათი წლის შემდეგ ხელმეორედ აღადგინა მონარქია. აურაცხელ სისხლითა და მსხვერპლით მოპოვებული რესპუბლიკა და თავისუფლება კი სიზმარივით გაჰქრა. თუ თვალს გადავავლებთ პირველ რესპუბლიკის ცხოვრებას 10 წლის განმავლობაში, ავწონ-დავსწონავთ საქმის მდგომარეობას, დეცენტრალიზაციის ნაყოფს, ხალხის უმწეო მდგომარეობას, ფსიხოლოგიას, დავრწმუნდებით, რომ ნაპოლეონს უეჭველად უნდა აღედგინა ცენტრალიზაციის ძველი სისტემა,—წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთის ხაზინაც ცარიელი იქნებოდა, არმიაც დაიშლებოდა და თვითონ საფრანგეთის პოლიტიკურ დამოუკიდებლობასაც დიდი საფრთხე მოელოდა. ნაპოლეონს კარგად ესმოდა, რომ ხაზინის გასავსებად, ჯარის შესადგენად და საფრანგეთის მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დასაცავად ცენტრალიზაცია იყო საჭირო და ამიტომ მთელი საფრანგეთი ერთი რგოლით შეჰკრა, ყველაფერი ხელში ჩაიგდო, ფულიც იშოვა და ის არმიაც შეადგინა, რომელშიაც მან თავისი დიდებაც ჰპოვა და დამარცხებაც.

ნაპოლეონი დაუყოვნებლივ შეუდგა რევოლუციის მიერ გადაკეთებულ სადეპარტამენტო თვითმართველობის გაუქმებას და ახალ დებულების შედგენა რედერერის კომისიას მიანდო. ამ კომისიამ ერთ-ორ თვეში შეადგინა ახალი კანონპროექტი, მასთან ერთად ფართო დასაბუთებული მოხსენება და სახელმწიფო საბჭოს ჩააბარა. ახალ კანონ-პროექტით, უნდა გაუქმებულიყო დეპარტამენტები და მის მაგიერ დაარსებულიყო წინანდელი უბრალო პროვინციები. დეპარტამენტის ადმინისტრაციის არჩევის უფლება ხალხს ერთმეოდა და ცენტრალურ მთავრობას ეძლეოდა. ადგილობრივი თვით-მართველობა—ხარჯების გაწერა, გზები, სკოლები და სხ.—მთავრობის მიერ დანიშნულ პრეფექტის კონტროლს ექვემდებარებოდა.

მაშინ, როდესაც ხალხს ესოდენ მსხვერპლით მოპოვებულ თავისუფლებასა და თვითმართველობას ართმევდნენ, პრესსა ჩააჩუმეს, თუმცა არც ხალხი იღებდა ხმას. ადგილობრივი თვითმართველობა ისე უცებ და ადვილად მოისპო, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ გამოუწვევია. სახელმწიფო საბჭომ რედერერის კანონპროექტი საკანონმდებლო კორპუსს გადასცა, ამან თავის მხრით ტრიბუნატს გაუგზავნა, ტრიბუნატმა კი განსაკუთრებულ კომისიას ჩააბარა განსახილველად, 1800 წელს, 12 თებერვალს. ტრიბუნატმა მოისმინა დონუს მიერ წარდგენილი პროექტი და, მცირე კამათის შემდეგ, მიიღო. 16 თებერვალს, პროექტი საკანონმდებლო კორპუსმა განიხილა და ერთი დღის შემდეგ კანონპროექტი კანონად იქცა. ამ რიგად 1800 წელს, 17 თებერვალს, გამოცემული კანონი საფუძვლად დაედო საფრანგეთის თვითმართველობას, რომელიც შემდეგ, ასი წლის განმავლობაში, არა ერთხელ გადასინჯულა, მაგრამ ის პრინციპები, რომელზედაც 17 თებერვლის კანონი იყო დამყარებული, არსებითად დღესაც ისეთივეა, როგორიც იყო რედერერის კომისიის კანონ-პროექტში.

ნაპოლეონის გადაყენებისა და ბურბონების კონსტიტუციონალურ მონარქიის აღდგენის შემდეგ, საფრანგეთის პოლიტიკური ტრიბუნაც გამოცოცხლდა. ამ ტრიბუნიდან უფრო და უფრო ხშირად ისმოდა ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის მომხრეთა სიტყვები. იმ დროინდელ მთავრობას კარგად ესმოდა ნაპოლეონის მიერ შექმნილი სადეპარტამენტო წეს-წყობილების მნიშვნელობა, რომელიც ძალიან ხელსაყრელი იყო მთავრობისთვის და ამიტომ ორივე ხელით დაებღაუჭა მას. საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებული როიალისტები კი, რომელნიც მეფის გვირგვინისა, პროვინციებისა და წოდებრივ უპირატესობის აღდგენას ფიქრობდნენ, არსებულ ცენტრალიზაციის წინააღმდეგ ამხედრდნენ და... ისეთი ფართო დეცენტრალიზაცია მოითხოვეს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ წოდებრივ უპირატესობით აღჭურვილ თავად-აზნაურობისთვის იყო ხელსაყრელი. ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ ასეთ დეცენტრალიზაციას წინ აღუდგნენ სწორედ ის ლიბერალები, რომელნიც შემდეგში, მთელი საუკუნის განმავლობაში, პირველი მომხრენი იყვნენ დეცენტრალიზაციისა.

აი, ამ გარემოებამ შეჰქმნა საფრანგეთში ერთგვარი ცრუმორწმუნეობა, რომელიც კარგა ხანს ბუდობდა ფრანგების თავში, ვითომ დეცენტრალიზაცია რეაქციონური იდეაა, ცენტრალიზაცია კი შედეგია რევოლუციისა და ამიტომ საჭიროა ცენტრალიზაციის დაცვაო. მაგრამ მალე დამტკიცდა, რომ როიალისტები მარტოოდენ თავად-აზნაურობის ინტერესების დასაცველად თხოულობდნენ დეცენდრალიზაციას. 1814 წლიდან 1830 წლამდე მართვა-გამგეობის საქმე რამდენჯერმე ჩაუვარდათ ხელში როიალისტებს, მაგრამ იმათ არაფერი გაუკეთებიათ ადგილობრივ თვითმართველობის შემოსაღებად. პირიქით, როცა ლიბერალებმა ნამდვილ ლიბერალურ თვითმართველობაზე ჩამოაგდეს ლაპარაკი, როიალისტები თავიანთ პირვანდელ პროგრამას გადაუდგნენ და ცენტრალიზმს მიემხრნენ, რადგან ლიბერალების მიერ წამოყენებული თვითმართველობის სისტემა მონარქიულ თავად-აზნაურობისათვის ხელსაყრელი არ იყო. როიალიტების შეხედულების მაგალითს ამ საკითხის შესახებ წარმოადგენს ცნობილ მწერლის, ლეგიტიმისტისა და კლერიკალის შატობრიანის ფორმულა: „სახელმწიფოში პირველი ადგილები კანონიერ მონარქიის ნამდვილ მეგობრებს მიანდვეთ, საფრანგეთის გადასარჩენად თითო დეპარტამენტში შვიდი კაცია საჭირო: ეპისკოპოსი, ჯარების უფროსი, პრეფექტი, პროკურორი, სასამართლოს პრეზიდენტი, ჟანდარმერიის უფროსი და ეროვნულ გვარდიის უფროსი. საჭიროა მხოლოდ, რომ ისინი მეფისა და ღვთის ერთგული იყვნენ; დანარჩენის პასუხისმგებელი მე ვარო.''

1821 წელს, 21 თებერვალს შინაგან საქმეთა მინისტრმა სიმეონმა პალატაში ახალი კანონპროექტი შეიტანა ადგილობრივ თვითმართველობის რეფორმის შესახებ. მაგრამ ეს პროექტი არავითარ უფლებას არ ანიჭებდა დეპარტამენტების საბჭოებს, პრეფექტი კი ისევ წინანდებურად თვითმპყრობელი რჩებოდა დეპარტამენტში. 49 დეპუტატმა (მათ შორის ფუამ, შენჟამენ კონსტანმა, როიე კოლარმა, ეტიენმა და სხ.) განაცხადეს, პროექტის წინააღმდეგ უნდა ვილაპარაკოთო, 31 დეპუტატი კი პროექტს მიემხრო. წინდაწინვე ცხადი იყო, რომ პროექტს უარჰყოფდნენ; მთავრობა დაფრთხა და პროექტი უკანვე წაიღო. რვა წლის შემდეგ, 1829 წელს, მარტინაკის სამინისტრომ ახალი პროექტი წარუდგინა პალატას, მაგრამ ამ პროექტსაც ის ბედი ეწვია, როგორიც სიმეონის პროექტს, ხოლო იმ განსხვავებით კი, რომ სიმეონის პროექტი პალატას არ განუხილავს, მარტინიაკის პროექტი კი განიხილა და დაიწუნა. მარტინიაკის პროექტი ვითომ მეტ უფლებას აძლევდა დეპარტამენტის საბჭოებს: პროექტით საბჭოების წევრებს მთავრობა აღარ ნიშნავდა, არამედ „ხალხი“ ირჩევდა, მაგრამ ამასთან ისეთ დიდ საარჩევნო ცენზს აარსებდა, რომ 1000 კაციდან მხოლოდ ერთს ეძლეოდა კენჭი. რასაკვირველია, ეს ერთი მდიდარი მემამულე ან ვაჭარმრეწველი იყო, რის გამოც საბჭოებიც მდიდ-

---

*) მასალა ამოღებულია ზურაბ ავალიშვილის წიგნიდან;

ეროვნული

დნენ პოლიციის გამგე შირინკინი, კანცელარიის დირექტორი პეტერსონი, ტფ. გუბერნატორი რაუშ ფონ ტრაუნბერგი და სხვა.

✦ სოფელ ქარელში, თავ. ალექსი ციციშვილის მოსამსახურე ნამაზ ტანგრი-კული-ოღლიმ **რამდენჯერმე ესროლა ჟანდარმს ტოკმანოვს**, მაგრამ ტყვია ააცდინა. დამნაშავე კაზაკებმა შეიპყრეს.

✦ სიმთვრალის დროს, იოსებ ოთარიძემ ქ. გორში **დასჭრა მეეტლე ალექსანდრე ბობნიაშვილი.**

✦ ქალაქ გორში, ტფილისის ქუჩაზე მიმავალ აზნაურს **არჩილ ჩუბინაშვილს ვიღამაც თოფი ესროლა.** ჩუბინაშვილს ტყვია ასცდა.

✦ სოფელ თამარაშენში (გორის მაზრა) ლევან ტატაშვილმა **მოჰკლა თავისი მეზობელი ნიკო ნაბიჭვრიშვილი** და მძიმედ დასჭრა მისი შვილი პავლე.

✦ სოფელ ცხინვალში ორის ტყვიით **მოჰკლეს უნცროსი ურიადნიკი ჩერკასოვი.**

✦ როგორც სოფ. მჭადისჯვრიდან (დუშეთის მაზრა) გვატყობინებენ, იქ მოუკლავთ ადგილობრივი მცხოვრები აზნაური ი. ნათიშვილი; მკვლელი ვერ უპოვნიათ.

✦ ბორჩალოს მაზრის, პრივოლნოეს მცხოვრებმა ზაქარია პოტეტკინმა მინდვრიდან მომავალი თავისი ცოლი ურმიდან ჩამოათრია, **ძალზე სცემა და მერე ცელით ცხვირი მოსჭრა.**

✦ ვიღაც **შეიარაღებულმა ბოროტ გამზრახველებმა** სოფ. ქვემო-ნიქოზში ვლადიმირ ელიოზიშვილს წაართვეს ოქროს საათი რვა თუმნად ღირებული და სამი მანეთი ფული. ს. ზემო-ნიქოზში ანდრო ქოროშვილს წაართვეს უნაგირი და ოქროს ბეჭდები,—სულ 170 მანეთისა, ხოლო სოფელ დვანში ჯიბილა თოქმაშვილს წაართვეს სამი ხმალი და სხვა ნივთები სულ 200 მანეთისა. ზოგიერთი ბოროტ-გამზრახველს კაზაკის ტანისამოსი ეცვა.

✦ 8 სექტემბერს ვილაცებმა **მოჰკლეს ყვარელის ბოქაულთან გაგზავნილი ორი ლეკი.** ამავე დღეს გრემის მთებში მოჰკლეს ორი თუში და 70 ცხენი გაირეკეს.

✦ **სოფ. წინარეხიდან** (გორის მაზრა) გვატყობინებენ: ამ დღეებში აქ გლეხებმა შეიპყრეს 8 ბოროტი კაცი—რომელნიც აწიოკებდნენ ახლომახლო სოფლელებს, ართმევდნენ იარაღს და სძარცვავდნენ მცხოვრებთ. გლეხები მოულოდნელად დასცემიან თავს ამ ვაჟბატონებს, როდესაც ერთის გლეხის სახლში ვახშმობდნენ. გლეხებმა წაართვეს იარაღი, გაბაწრეს და გამურულები სოფელ-სოფელ ჩაატარეს გლეხებს ისინი ჯერ-ჯერობით დამწყვდეული ჰყავთ.

✦ **სად. სანაინი,** 10 სექტემბერს, გასტეხეს სადგურის კასა და წაიღეს მთელი დღის ნავაჭრი. ეს ქურდობა საიდუმლოებით არის მოცული.

✦ რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის მეორე კლასში **პარალელური გაყოფილება დაარსდა.** მეცადინეობა სადილს უკან იქნება.

✦ კვირას, 11 აგვისტოს, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში **თავი მოიკლა** ამ კანტორის მოხელემ **პ. გ. ჩეპოვსკიმ.** ჩეპოვსკი 27 წლის ყმაწვილი კაცი იყო. დარჩა ცოლი და 4 შვილი. წინად გუდაურის სადგურის უფროსად იყო და რაღაც დანაშაულისათვის ჩამოაყენეს. ჩეპოვსკიმ ბარათი დასტოვა, რომელშიაც სწერს, ჩემ სიკვდილში ბრალი არავისა აქვს, ნივთიერად შევიწროებულმა ცხოვრებამ მაიძულა თავი მომეკლაო.

✦ სოფელ ზემო-ხანდაკში **მოჰკლეს მღვდლის შვილი იოსებ ლუკიანოვი.**

✦ 9 სექტემბერს, სოფ. აცანიდან (ოზურგეთის მაზრა) სადგურ ლანჩხუთში ბრუნდებოდა მე-2 საპოლიციო ნაწილის უბნის ზედამხედველი პოპკოვი, ერთი სტრაჟნიკის თანახლებით. **გზაში დაეცა 9 შეიარაღებული კაცი და თოფები დაუშინა.** სტრაჟნიკი ცხენიდან გადმოვარდა. პოპკოვი გაიქცა. სტრაჟნიკს წაართვეს თოფი და რევოლვერი და მიიმალნენ (ჩერ. ვეს).

✦ არეულობის გამო ბაქოდან **კავკავის რკინის გზით წასულა 15,000 კაცი,** ხოლო ამიერ კავკასიის გზით 9,000. წასულები მომეტებულად მუშები არიან.

✦ შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, რომ ბაქოში **გადამწვარა 2,000 ნავთის კოშკი.**

✦ გორისა და დუშეთის მაზრებში გაგზავნილი **პოლკოვნიკი ალფტანი შუამდგომლობს** ნამესტნიკის წინაშე, მიეცეს ექსტრა-ორდინარულ თანხიდან, 27 აგვისტოს გორის მაზრაში მოკლულ, სტრაჟნიკების ურიადნიკის ლიტვინენკოს ოჯახს 200 მან. დახმარება და ხუთი თუმანი სამარხი.

✦ 8 სექტემბერს, დილით **ბათომში მოსულა გემი „ოდესა“,** რომელსაც მოუყვანია ბესარაბიის პოლკის ერთი ნაწილი, 2,100 კაცი. მეორე დღეს ჩამოსულა მეორე ნაწილი—1,400 კაცი. ნავთსადგურზე გემს შეხვედრია სამხედრო მთავრობა მუსიკით. გემის მოახლოვების დროს, სამხედრო მუსიკას შესაგებებელი მარში დაუკრავს, ამ დროს ხალხში ერთ მუშას დაუყვირნია: „ძირს მუსიკა“. იქვე მდგომ კაზაკების ურიადნიკს ვალუისკის ამ მუშისთვის გულში ხანჯალი დაუცია და იქვე მოუკლავს (ჩერნ. ვესტ.).

✦ კავკასიის ჯარების უფროსის განკარგულებით, ქ. ბაქოში სამხედრო **სასამართლოს სესია არის დანიშნული.** სესიას სხვათა შორის ბაქოს გუბერნატორის თავ. ნაკაშიძის მკვლელობის საქმეც გადაეცა განსახილველად.

✦ ტფილისის მაზრის გლეხთა რწმუნებულმა **გ. ზ. ქანანოვმა შუამდგომლობა აღძრა** თავად-აზნაურთა მაზრის მარშლის სუმბათაშვილის წინაშე, სთხოვოს ნამესტნიკს, რომ კავკასიის საბჭოში ტფილისის მაზრიდან ერთის წარმომადგენლის მაგიერად დანიშნოს ორი, ერთი მემამულეთა მხრივ და ერთიც გლეხების მხრივ.

✦ ცხრა ოქტომბერს **შესრულდება სამოცი წელიწადი პოეტის ბარათაშვილის გარდაცვალებიდან.** ამ დღეს პოეტის სამარეს დაადგამენ ძეგლს. კვირას, 11 სექტემბერს, ქარ.-შ.-წ. გამ. საზოგადოების გამგეობამ მოიწვია ქართულის პრესისა და დრამატიულ საზოგადოების წარმომადგენელნი და მათთან ერთად მოილაპარაკა ძეგლის დადგმის გამო შესაფერ დღესასწაულის გამართვის შესახებ. ხანგრძლივის თათბირის შემდეგ, დაადგინეს: ,,ვინაიდან ამჟამად ისეთ პირობებში ვცხოვრობთ, რომ შეძლება არ გვაქვს მოვიწვიოთ მთელის საქართველოს წარმომადგენელნი, გულმშვიდად შევიკრიბნეთ, სავსებით გამოვსთქვათ ჩვენი გრძობანი და ღირსეული დღესასწაული გავმართოთ, ამიტომ დღესასწაულობა უფრო მოხერხებულ დროისათვის გადავდოთ და 9 ოქტომბერს კი მხოლოდ პანაშვიდი გადავიხადოთ''.

✦ ამას წინად სამრევლო სკოლების საბჭომ გარდასწყვიტა, უსახსრობისა გამო, გაუქმდეს მამადავითის საეკლესიო-სამრევლო სკოლა. ამ ჟამად, როგორც გავიგეთ, კნ. **ა.მ. მელიქიშვილისამ ამ სკოლისთვის საჭირო ხარჯი თვითონ იკისრა.**

✦ ქალაქის გამგეობა ამ დღეებში მიიღებს ბათუმიდან 40,000 ცალის ასფალტის ქვას და მაშინვე შეუდგება სასახლის ქუჩის მოკირწყვლას.

✦ მე-3 საპოლიციო ნაწილის ბოქაული კაპიტანი რიხტერი სთხოვს ქალაქის გამგეობას, დაინიშნოს კომისია **ნიკოლოოზის ხიდის დასათვალიერებლად.** რიხტერის სიტყვით, ეს ხიდი დიდიხნის აშენებულია და ძალიან დაძველდა.

✦ ალავერდის კათედრაზე ეპისკოპოსად ინიშნება დეკანოზი კონჩოშვილი.

✦ სამაზრო **საერობო რწმუნებულთა კრება** 16 სექტემბრისთვის არის დანიშნული.

✦ საქართველოს ექსარხოსი ამ დღეებში იწვევს ქალაქის სამღვდელოების „სასულიერო მოამბის“ **რედაქტორის ასარჩევად.** ამ ჟურნალს ორი რედაქტორი უნდა ჰყავდეს—ერთი რუსულ ენაზე გამოცემულ ჟურნალისთვის და მეორე ქართულისათვის. ქართულად უნდა დაიბეჭდოს 1500 ცალი, რუსულად კი 300. ცენზორად ამ ჟურნალისა ინიშნება სემინარიის რექტორი.

✦ კვირას, 11 სექტემბერს, ქალაქის მოურავის მოადგილის ვ. ნ. ჩერქეზიშვილის და გამგეობის წევრების თანადასწრებით **აკურთხეს, ნაძალადევის სკოლა,** ქალაქის ხარჯით დაარსებული. მიღებულ იქმნა 54 მოწაფე.

✦ სახაზინო თეატრში 17 **სექტემბრიდან იწყება ოპერა.** ამ დღეს დანიშნულია ოპერა „აიდა“

✦ **იმერეთის ეპარქიაში გაუქურდავთ** ჩხეფის წმ. გიორგისა და სადემთავრის ამაღლების ეკლესიები.

✦ სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა დაადგინა, დაიწყონ **სწავლება** ქალაქის სამრევლო სკოლებში.

✦ ამ მიმდინარე სამოსწავლო წელს ტფილისის ქართულ სათავად-აზნაურო კერძო გიმნაზიის **პირველ განყოფილებაში** მიღებულნი არიან შემდეგი ყმაწვილები 1, გიორგი ავალიშვილი, 2, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, 3, გიორგი ალექსიშვილი, 4, ვასილ ანანიაშვილი, 5. კოსტანტანე ამირაჯიბი, 6. მიხეილ გოგიბედაშვილი, 7: ივანე გიორგის ძე გომელაური, 8. იოსებ დუჩაიძე, 9. შალვა გველესიანი, 10, ვალერიან გამყრელიძე, 11. დიმიტრი დიდებულიძე, 12, გრიგოლ დიდებულიძე, 13. ალექსანდრე მიხეილის ძე ყანჩელი, 14 რომან კორინთელი, 15. ალექსანდრე დავითის ძე ყანჩელი: 16, ალექსანდრე კობიაშვილი, 17, გიორგი ბადრიძე, 18, მიხეილ კვალიაშვილი, 19, შალვა მაჩაბელი, 20, მიხეილ მიქელიშვილი, 21. ლევან მაჩაბელი, 22, გიორგი ორჯონიკიძე, 23. დავით ორჯონიკიძე, 24. გიორგი წინამძღვრიშვილი, 25. ვახტანგ ცალქალამანიძე, 26. დიმიტრი ცალქალამანიძე. 27. კონსტანტინე ჩიკოიძე, 28. ვასილ ელიოზიძე, 29. ირაკლი ჯავახიშვილი, 30. შალვა ციციშვილი, 31. ივანე თარხნიშვილი, 32. ნიკოლოზ კანდელაკი და 33. არჩილ ნათიშვილი.

ეს ყმაწვილები, თუ პირველ ოქტომბრამდის არ გამოცხადდნენ სასწავლებელში, სიიდან გამორიცხულ იქნებიან და იმათ მაგიერ სხვები ჩაირიცხებიან.

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზი“ № 231)

ნამესტნიკის კანცელარიისაგან გაზეთ ,,კავკაზი''-ს მე-229 ნომერში გადმობეჭდილია ,,სინ ოტეჩესტვა''-დან ცნობა შემდეგი შინაარსისა: ,,დეისტ. ტაინი სოვეტნიკის კობეკოს თავმჯდომარეობით შემდგარი საგანგებო საბჭო პრესსის საქმეების შესახებ შეეკითხა კავკასიის ნამესტნიკს და ტფილისის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარეს, რომლებმაც განაცხადეს, რომ თათრულს და სომხურ პრესსას იგივე უფლება მიენიჭოს, რაც შემდეგში რუსულ პრესსას მიეცემაო. ეს ცნობა მართალი არ არის. კობეკოს თავმჯდომარეობით შემდგარ საგანგებო კომისიიდან კავკასიის მთავარ გამგეობას ამის შესახებ არავითარი შეკითხვა არ მოსვლია''.

კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე სთხოვს გაზეთ „კავკაზის“ რედაქციას უარ ჰყოს მე-229 ნომერში დაბეჭდილი ცნობა, ვითომც დეისტვ. ტაინი სოვეტნიკის კობეკოს შეკითხვაზე, თავმჯდომარემ თავისი აზრი გამოსთქვა, რომ თათრულსა და სომხურ პრესსას იგივე უფლება მიენიჭოს, რაც შემდეგში რუსულ პრესსას მიეცემაო“.

ერობა კავკასიაში.

ქუთაისის საერობო სათათბიროს სხდომა.

3 სექტემბერი. ქუთაისის სამაზრო საბჭომ, თავ. დ. ო. ნიჟარაძის თავმჯდომარეობით, საჭიროდ არა სცნო შეემოწმებინა სიები ქუთაისის მაზრის ყველა მიწათ-მფლობელთა და ამ სიებისთვის დაემატებინა ცნობები მიწათ-მფლობელების განათლების ცენზისა და რუსული ენის ცოდნის შესახებ. უკანასკნელ კითხვის შესახებ საბჭომ ის აზრი წარმოსთქვა, რომ რუსულ ენის ცოდნა საჭირო არაა საერობო საქმეების კარგად მართვა-გამგეობისთვის.

საბჭო შეუდგა იმის განხილვას, თუ რამდენად შესაძლებელი და სასურველია ჩვენში საერობო დაწესებულებათა შემოღება და რა ძირითად საფუძველზედ უნდა იქმნეს დამყარებული ეს ერობა.

გრ. ი. გველესიანი იმ აზრისა იყო, რომ საერობო დაწესებულებათა შემოღება სასარგებლო იქმნება ჩვენთვის და ამიტომ უსათუოდ უნდა მივიღოთ; მხოლოდ ჩვენ არ უნდა შევკავიწროვოთ 1864 წლის ერობის დებულებამ და შევიმუშაოთ ახალი დებულების პროექტი, რომელიც უფრო შეესაბამება ჩვენს ეხლანდელ ცხოვრებას. ჩვენში შემოსაღებ ერობას საფუძვლად სამი უმთავრესი პრინციპი უნდა დაედოს: ა) არჩევნების სისტემა უნდა იქმნეს დემოკრატიული, ე. ი. კენჭის ყრა უნდა იქმნეს საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ბ) ერობა არ უნდა იქმნეს დამოკიდებული მთავრობისაგან და გ) ერობას უნდა ექმნეს ფართო თვითმართველობის ხასიათი. შემდეგ მან აღნიშნა ის ცვლილებანი, რომელიც უნდა შეტანილ იქმნეს 1864 წლის ერობის დებულებაში: ხსენებულს დებულებაში ჩამოთვლილ გადასახადების ნაცვლად შემოღებულ იქმნეს პროგრესიული გადასახადი, შემოსავლის მიხედვით, ამასთანავე დაწესდეს მინიმუმი, გადასახადისაგან სრულიად განსათავისუფლებლად; ერობას ნება უნდა ჰქონდეს ყოველგვარ გადასახადის დაწესებისა ან გაუქმებისა; მას უნდა ექმნეს ინიციატივა ახალ კანონების გამოცემისა და ძველის შეცვლა-შესწორებისა; პოლიცია უნდა ექვემდებარებოდეს ერობას, რომელსაც პირველ ხანებში ნივთიერ უსაშუალობის გამო სახელმწიფოსაგან უნდა ეძლეოდეს შემწეობა მის შესანახად; საერობო დაწესებულებაში მოსამსახურეებად არჩეული პირნი არ უნდა ჰსაჭიროებდენ მთავრობის მიერ დამტკიცებას. სწავლა-განათლების საქმეში ერობას უნდა მიენიჭოს ფართო სამოქმედო ასპარეზი; საერობო კრებებზე უნდა თავმჯდომარეობდეს არა თავად-აზნაურთა წინამძღოლი, როგორც ეს ამჟამად ხდება, არამედ კრების მიერ არჩეული პირი; ამასთანავე მიუცილებელი საჭიროა თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვის, კრებებისა და პიროვნების ხელშეუხებლობის. მაგრამ ყველა ეს შესაძლებელია მოხერხდეს მხოლოდ თავისუფალ სახელმწიფოში, რისთვისაც ჩვენ უნდა მივემხროთ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა და ქალაქის თვითმართველობის დადგენილებას ჩვენში ავტონომიის დაარსების შესახებ.

ი. დ. ბახტაძე იმ აზრისაა, რომ ერობა, ე. ი. ფართო ადგილობრივი თვითმართველობა და ბიუროკრატიული რეჟიმი ერთად ვერ მოთავსდებიან და ერთის არსებობის დროს, მეორე ვერ იარსებებს. მიუხედავად ამისა, თუ მთავრობა გვაძლევს ერობას, ამით მას სურს, რომ ცოტათი დაგვაშოშმინოს, შეგვაქციოს... რადგან შეუძლებელია მთავრობამ ხალხს მისცეს ის, რასაც ხალხი თხოულობს, ამიტომ ჩვენ სრული უარი უნდა განვაცხადოთ მოწოდებულ ერობაზე და მოვითხოვოთ, რომ მოწვეულ იქმნეს დამფუძნებელი კრება რუსეთის სახელმწიფო ცხოვრების განსაახლებლად.

დიდხანს ილაპარაკა **თავ. ვ. ს. მიქელაძემ.** მან მუხლა-მუხლად გაარჩია წინა ორატორის მოსაზრებანი და დაამტკიცა, რომ შემცდარია ის აზრი, ვითომც ერობის შემოღებამ ხალხი დააკმაყოფილოს, დააძინოს და ხელი აადებინოს თავის მისწრაფებაზე; წინააღმდეგ, ერობის შემოღებით ჩვენ წინ წავდგამთ ერთს ნაბიჯს და უფრო დავუახლოვდებით ჩვენს მიზანს. მან მოიყვანა მრავალი მაგალითი სხვადასხვა განათლებულ საზოგადოების ისტორიიდან და დაამტკიცა, ცხოვრება ნახტომებს არ შვრება, არამედ თანდათანობით მიისწრაფის განვითარების გზაზე.

ჩვენ თუ ხალხისათვის ნამდვილი სიკეთე გვინდა, ერობის მიღებაზე უარი კი არ უნდა განვაცხადოთ, არამედ ახლავე უნდა მივიღოთ, მხოლოდ იმ სახით კი არა, როგორც გვიქადიან, არამედ ისე, როგორც ჩვენთვის საჭიროა. ქუთაისურ ინტელიგენტების ერთს წრეს უკვე შეუდგენია პროექტი საერობო დებულებას ძირითად საფუძვლებით; ჩვენ განვიხილოთ ეს პროექტი, რაც მოგვეწონება—მივიღოთ, რაც არა და შევცვალოთ იმგვარად, როგორც ჩვენთვის საჭიროა. ჩვენის მხრით დიდი გამარჯვება იქმნება, თუ ამ პროექტის ძირითად საფუძველზე დამყარებული ერობა მივიღეთ; ასეთი ერობა ჩვენ დაგვეხმარება ნივთიერ და ზნეობრივ კეთილდღეობის გზაზე და ძალას შეგვმატებს, რომ უფრო მედგრად ვიბრძოლოთ საერთო მიზნის მისაღწევად.

მ. ა. ქიქოძემ განმარტა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთში არსებულ კუდმოკვეცილ ერობასაც კი. საერობო დაწესებულებანი ჩვენ ვერ დაგვაძინებს, თუ რომ ჩვენ დასაძინებლად არა ვართ განწესებულნი და ცხოვრების უნარი გვაქვს. პირ-იქით, ერობა იქმნება ჩვენთვის ის გამომაღვიძებელი ზარა, რომელიც ერთად მოგვიხმობს და წინისაკენ გაგვრეკავს საბრძოლველად.

ი. დ. ბახტაძემ განმარტა, რომ მას არ უთქვამს, ვითომც ერობა ხალხს დააძინებს; მე მხოლოდ იმას ვამტკიცებდი, რომ ერობის შემოღებით დაიძინებს მდიდართა კლასი, ბურჟუაზია, რომელიც ამჟამად გლეხობასა და პროლეტარიატს უდგას გვერდში. ჩვენ ერობის წინააღმდეგნი არა ვართ, მაგრამ ჩვენ გვინდა დემოკრატიულ საფუძველზე დამყარებული ერობა.

თავ. დ. ა. მიქელაძე: ,,მე მიკვირს გავიგო, როგორ პოზიციას დაიჭერდა ბ-ნი ბახტაძე იმ შემთხვევაში, რომ მას შეხვედროდა საქართველოს მხრით წარმომადგენლობა გლეხების განმათავისუფლებელ კომისიის მუშაობაში? მაშ ნ ხომ სახელმწიფოს წესწყობილების შეცვლაზე ლაპარაკიც კი არ იყო! საინტერესოა ვიცოდეთ, მაშინ ბ-ნი ბახტაძე გლეხების

რების ხელში ვარდებოდნენ.

უკიდურესმა როიალისტებმა მარტინიაკის პროექტს ომი გამოუცხადეს და დარბაზიდან დემონსტრატიულად გავიდნენ, რადგან, მათის აზრით, ეს პროექტი მონარქიზმის პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა. არც ლიბერალები მიემხრნენ ამ პროექტს, რადგან იგი მეტის-მეტად ფრთაშეკვეცილი და უმნიშვნელო იყო. მონარქისტები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ მარტინიაკის პროექტი, რომელიც ხალხს თვითმართველობის (უკედ რომ ვთქვათ, არჩევნების) უფლებას აძლევს, „ხალხის სუვერენიტეტს თხოულობს“,—რევოლუციონურია და ამიტომ მონარქიის მტერიაო. ეს მონარქისტები სულაც არ იყვნენ დეცენტრალიზაციის მტრები, მაგრამ მათი დეცენტრალიზაცია იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი პრეფექტებს მეტ უფლებას ანიჭებდნენ და ზოგიერთ ისეთ საქმეების გადაწყვეტის ნებას აძლევდნენ, რომელნიც „ტყუილად დაიარებიან დეპარტამენტიდან პარიზში და პარიზიდან დეპარტამენტში“. სწორედ რომ ვთქვათ, მარტინიაკის პროექტში რევოლუციონური არაფერი იყო, მაგრამ პოლიტიკურ პარტიათა შორის საქმე ისე იყო გამწვავებული, რომ, ზემოხსენებულ პროექტის განხილვის დროს, არც ლიბერალები იჩენდნენ ამ საკითხის გადაწყვეტის გულწრფელ სურვილსა და არც როიალისტები: ორივე ჯგუფი მხოლოდ პოლიტიკურ კამათსა და შუღლს უნდებოდა.

ის იყო, პროექტისთვის კენჭი უნდა ეყარნათ, მაგრამ მარტინიაკმა მეფის ბრძანებით, კამათი მოსპო და პროექტი უკანვე წაიღო. ამ დამარცხებამ მარტინიაკის პოლიტიკურ კარიერას ბოლო მოუღო. იმავე წლის აგვისტოში მარტინიაკმა სამსახურს თავი დაანება. იმის ადგილას ჩადგა პოლინიაკი, რომელმაც „შეწევნითა ღვთისათა“ მონარქია ხრამში გადააგდო, საფრანგეთი კი რევოლუციის კლანჭებს ჩაუგდო.

თუმცა ივლისის რევოლუციის შემდეგ ამომრჩეველთა რიცხვმა ერთი ორად იმატა, საარჩევნო ცენზის დაკლების გამო, (30 მილიონიდან საარჩევნო ცენზი მხოლოდ 188,000 კაცს ჰქონდა), მაგრამ ეს ცენზი მაინც იმდენად დიდი იყო, რომ დეპუტატების „ზომიერება“ მაინც უზრუნველყოფილი იყო. რევოლუციის დამარცხების შემდეგ, მთავრობამ თვითმართველობის უფლებათა გაფართოვება განიზრახა და ბოლოს მხოლოდ იმით გაათავი, რომ სათემო და ადგილობრივ საბჭოთა წევრების არჩევა ხალხს მიანდო.

ამ რეფორმამ შესცვალა 17 თებერვლის კანონის მხოლოდ სისტემა. არსებითად კი ადგილობრივი თვითმართველობა თითქმის არაფრით შეცვლილა. ახლად შემოღებული რეფორმა არ გასცილებია 1821 წლის კანონპროექტს, რომელიც, როგორც ვიცით, სამინისტრომ უკანვე გაიტანა. 1831 წელს, 21 მარტს გამოიცა ახალი კანონი, რომლის ძალით სამუნიციპალო მოთათბირეს მდიდარი მემამულეები ირჩევდნენ, თვითონ მერს კი (მოურავს, მამასახლისს) ისევ მთავრობა ნიშნავდა სამუნიციპალო მოთათბირეებისაგან. ეს კანონი თითქმის სიტყვა-სიტყვით იყო გადმოღებული მარტინიაკის კანონპროექტიდან.

1832 წ. ახალი სამინისტრო შესდგა. მისი უმთავრესი ბურჯნი—ჰერცოგი ბროლი და განთქმული ისტორიკოსები ტიერი და გიზო—უკიდურესი ცენტრალისტები იყვნენ *). პროექტის შესადგენად მოწვეულმა კომისიამ საარჩევნო პროექტი შეადგინა და, 1833 წელს, წარუდგინა პალატას, რომელმაც თავის მხრით კიდევ შეაკვეცა ფრთები საარჩევნო ცენზს და 1838 წელს პროექტი კანონად აქცია. ამ კანონის თანახმად, სადეპარტამენტო საბჭოს იწვევს პრეფექტი მეფის ბრძანებით; საბჭოს ნება აქვს თავმჯდომარე და მდივანი ამოირჩიოს; კრებებს ხალხი არ უნდა დაესწროს; საბჭოს ეკრძალება სხვა დეპარტამენტებთან ყოველნაირი მიწერ-მოწერისა და მოლაპარაკების გამართვა, პროკლამაციებისა და ადრესების შედგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში პრეფექტმა იმ წლის კრება უნდა მოსპოს. ასეთია საბჭოების უფლებათა გაფართოვება და მისი კომპეტენცია. სადეპარტამენტო საბჭოების ორგანიზაციის ასეთმა წეს-რიგმა 1848 წლამდის გასტანა, ხოლო ამ წლის რევოლუციამ ცენზი მოსპო და საყოველთაო საარჩევნო უფლება შემოიღო.

დამოკიდებულება ცენტრალისტებსა და დეცენტრალისტებს შორის თანდათან მწვავდებოდა. ცენტრალისტებმა თავიანთ იდეოლოგებად დაასახელეს უმთავრესად კორმენენი, ვივიენი და სხ., დეცენტრალისტებმა კი—შეშარი და უფრო კი განთქმული ტოკვილი,—მეცნიერი და ავტორი განთქმულ თხზულებებისა—„დემოკრატია ამერიკაში“ და „ძველი წესი და რევოლუცია“, რომელიც ახლაც პოლიტიკურ ლიტერატურის მარგალიტად ითვლება. ტოკვილი შესანიშნავის მჭერმეტყველობითა და აღფრთოვანებით ამტკიცებდა, რომ თავისუფლების პირველი მტერი ცენტრალიზაცია არისო. მან კარგად შეისწავლა ამერიკისა და ინგლისის წეს-წყობილება და როცა იქიდან დაბრუნდა, დარწმუნდა, რომ ცენტრალიზაცია უპირველესი მტერია ხალხისა და პიროვნების თავისუფლებისა. ასი წლის წინად, განთქმული მეცნიერი მონტესკიე ამბობდა, თავისუფლების მოსასპობლად საჭიროა მთავრობის დაქუცმაცება და შესუსტებაო, ტოკვილი კი იმეორებდა, საჭიროა დეცენტრალიზაციაო, რაიც ერთი და იგივეა. ის ამტკიცებდა, რომ ცენტრალიზაცია მხოლოდ იქ არის კარგი, სადაც ხალხი გაუნათლებელია და განუვითარებელია, მაგრამ იქ, სადაც ხალხმა თავისუფლების საჭიროება შეიგნო, მხოლოდ თვითმმართველობა უზრუნველჰყოფს ამ თავისუფლების ხელუხლებლობას და საზოგადოების კეთილდღეობას. ტოკვილი არ მალავდა, რომ თვითმმართველობისა და თავისუფლების მოპოება მხოლოდ ძალით, მხოლოდ რევოლუციით შეიძლება. ტოკვილისთვის დემოკრატია ისტორიული ფაქტი იყო; თავისუფლება—აუცილებელი და უსაჭიროესი იდეალი; დეცენტრალიზაცია—იარაღი ამ თავისუფლების ხელუხლებლობის უზრუნველყოფისა. ტოკვილი საჭიროდ სთვლიდა, ფრანგები დაერწმუნებინა, რომ ცენტრალიზაციას აუარებელი ზარალი მოჰქონდა მათთვის. ურემი რომ გადაბრუნდება, გზაც მაშინ გამოჩნდებაო, და ფრანგებსაც ასე მოუვიდათ.

დადგა 1848 წელიც, რომელმაც საფრანგეთს მეორე რესპუბლიკა და საყოველთაო საარჩევნო უფლება მიანიჭა. მაგრამ რევოლუციამ მაინც ის ნაყოფი არ გამოიღო, რომელსაც ელოდნენ 5 მარტს, რესპუბლიკის დროებითმა მთავრობამ დეპუტატების არჩევნები გამოაცხადა. 1848 წლის რევოლუცია რომ მთელ საფრანგეთის საქმე ყოფილიყო, არჩევნებიც ადვილად მოხდებოდა. მაგრამ რევოლუცია საზოგადოების მხოლოდ ერთმა ჯგუფმა მოახდინა, რომელსაც აუარებელი მტერი ჰყავდა. ბოლოს ისე გამოვიდა, რომ რესპუბლიკას ზევიდან იცავდნენ, ხალხი კი გულგრილად ეკიდებოდა ახალ წესწყობილებას. აი, სწორედ აქ გამოადგა მთავრობას უკვე ნაცადი ცენტრალიზაცია და, არჩევნების დროს, ძალის დატანება. ლუი ფილიპეს დროინდელ პრეფექტების ალაგას გაგზავნილ კომისარებს ლედრიუ-როლენმა პირდაპირ მისწერა, თქვენც ისეთივე რევოლუციონერები ხართ, როგორც ჩვენ, და ეცადეთ, რომ „არჩევნების მოსახდენად დანიშნული დღე რევოლუციის დღესასწაულად გადაიქცესო“. კონსტიტუციის შესადგენად დანიშნულმა კომისიამ ცენტრალიზაციაზე და დეცენტრალიზაციაზედაც აღძრა ლაპარაკი. ბევრი სიტყვა დაიხარჯა, ბევრი შუბი დაიმტვრა, მაგრამ ვერაფერი გაკეთდა. დეპუტატმა და ცნობილმა მწერალმა ლამენემ განაცხადა, რომ ,,ის რესპუბლიკა, რომლის მოქალაქეთ საკუთარ საქმეების გაძღოლა არ შეუძლიანთ, ვერ იცოცხლებს და მალე დაიღუპებაო“. ეს წინასწარმეტყველება, 1851 წელს 2 დეკემბერს, გამართლდა: პლებისციტმა რესპუბლიკა გააუქმა და ისევ კონსტიტუციონურ მონარქიას დაუბრუნდა. ლამენეს მხარი დაუჭირეს ტოკვილმა და ბარომ, მაგრამ ვერას გახდნენ. დაიწყო თუ არა ეროვნულმა კრებამ კონსტიტუციის პროექტის განხილვა, დეპუტატმა მორიმ შემდეგი სიტყვები მიარტყა კრებას: „არც ლუი მე-XIV-ისა და არც ნაპოლეონის დროს მთავრობას ისე არ ჰქონია ხელი მოჰკიდებული ყველა საქმეებისთვის, როგორც თქვენ აპირობთო“. დაიწყო თუ არა კამათი, დეცენტრალისტებიც შეჯგუფდნენ, თავიანთ დევიზად გამოაცხადეს ფორმულა—საერთო სახელმწიფოს საქმეების ცენტრალიზაცია და ადგილობრივ საქმეების დეცენტრალიზაცია—და მოითხოვეს, რომ ზემოხსენებული პრინციპი კონსტიტუციაში შეეტანათ. ბევრი უმტკიცეს დეცენტრალისტებმა მოწინააღმდეგეთ, რომ დეპარტამენტების თვითმართველობა რესპუბლიკის მთლიანობას არ დაარღვევსო, მაგრამ კონსტიტუციის პროექტი თავისებურად მაინც ვერ შეაცვლევინეს: საფრანგეთის ადმინისტრატიული დაყოფა ისეთივე დარჩა, როგორიც იყო. თუმცა მეორე რესპუბლიკამ საფრანგეთს საყოველთაო საარჩევნო უფლება მიანიჭა, მგრამ დეპარტამენტების მართვა-გამგეობა წინანდებურ პრინციპზე დარჩა და ამ მხრით რესპუბლიკას თითქმის არაფერი გაუკეთებია.

1851 წლის პლებისციტით გამეფებულმა ლუი ნაპოლეონმაც არ უღალატა თავის წინამორბედ მეფეებს და ცენტრალიზმის პრინციპი ხელუხლებლად აღიარა (ლიბერალები მასხარად იგდებდნენ ლუი ნაპოლეონს და „დეცენტრალიზატორს“ უძახდნენ, რადგან ის მომხრე იყო პრეფექტების უფლებათა გაფართოვებისა), სამაგიეროდ დეცენტრალისტების პარტიაც გაძლიერდა: მას მიემხრნენ სადეპარტამენტო საბჭოები და ლიბერალები. რეაქციონერმა მინისტრმა პერსინიმ მართლა განახორციელა ლუი ნაპოლეონისებური „დეცენტრალიზაცია“ და პრეფექტებს უფლებანი გაუფართოვა. ხელმეორედ დაიწყო რეაქცია და მასთან ერთად დაიბადა კითხვა: როგორ და რად მოხდა, რომ თავისუფლებამ ვერა და ვერ გაიმარჯვა იმ ქვეყანაში, რომელმაც რამდენჯერმე აუარებელი სისხლი დაღვარა თავისუფლებისთვის? ამის პასუხს ისევ ტოკვილი იძლევა. ის განუწყვეტლივ ამტკიცებს, რომ თავისუფლება შეუძლებელია იმ სახელმწიფოში, სადაც ცენტრალიზმია გამეფებული, სადაც ყველაფერი მთავრობის ხელშია, მიუხედავად იმისა, რესპუბლიკური მთავრობა იქნება თუ მონარქიული. დეცენტრალისტების მეორე იდეოლოგი, როდოც, ამტკიცებდა, რომ საფრანგეთის დაქვეითების მთავარი მიზეზი ცენტრალიზაცია არისო. ეს დაქვეითება გამოიხატება ყველგან: მეურნეობაში, არმიაში, ფინანსებში და ხალხის გულგრილობაში, რომელიც პირდაპირი შედეგია მთელი საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრების ერთ ცენტრში მოგროვებისა, ცენტრალიზაციისა. დეცენტრალიზაცია საუკეთესო იარაღია თავისუფლების მოსაპოვებლად და ხალხის ასაღორძინებლად, ცენტრალიზაცია კი ხალხის პოლიტიკურ განვითარებას ახშობს, თავისუფლებას ზღუდავს და სახელმწიფოს ყოველ მხრით აქვეითებსო. ბოლოს ცენტრალისტების ერთი ბელადთაგანი ვივიენი გამოტყდა და აღიარა, რომ ცენტრალიზაცია თავისუფლების დაუძინებელი მტერიაო. რადგან თავისუფლება ვივიენისთვის წმიდათა-წმიდა იყო, ამიტომ ისიც დეცენტრალისტებს მიემხრო და ისეთივე გატაცებით იცავდა დეცენტრალიზაციის საჭიროებას, როგორც წინად იცავდა ყოვლად ძლიერ მთავრობას.

მესამოცე წლებიდან დაწყებული დეცენტრალიზაციის იდეა თანდათან ფეხს იკიდებს საფრან-

---

*) მეორე იმპერიის დროს გიზომ მიმართულება შეიცვალა და მედგარი მომხრე გახდა დეცენტრალიზაციისა. ასეთივე ამბავი დაემართა ბროლის, რომელიც მესამოცე წლებში დეცენტრალისტი გახდა. თავის მიმართულებას არ უღალატა მხოლოდ ტიერმა, რომელიც შემდეგში ლუი ფილიპის დროს მინისტრად იყო, მესამე რესპუბლიკის განცხადების შემდეგ კი პრეზიდენტობაც ერგო. მეორე იმპერიის დროსაც კი, თითქმის ყველანი დეცენტრალისტები იყვნენ, ტიერი განზე გადგა და თავის რწმენას არ უღალატა.

განთავისუფლების წინააღმდეგი იქმნებოდა მანამდის, სანამ დემოკრატიულ რესპუბლიკა არ დაარსდებოდა, თუ არა?".

ბ-ნმა ბახტაძემ,—როგორც ცოტა პაუზის შემდეგ თვითონვე განაცხადა,—ჯერ ვერ გაიგო ეს კითხვა; შემდეგ კი, როდესაც თავმჯდომარემ გასაგებად განუმარტა, მან განაცხადა: ,,რასაკვირველია, მე გლეხების განთავისუფლების წინააღმდეგი არ გავხდებოდი იმ დროინდელ საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთ დამოკიდებულების გამო...

თავ. დ. ა. მიქელაძე: დიახ, მეტი არაფერი! მე მინდოდა მხოლოდ მეჩვენებინა ბ-ნ ბახტაძისათვის მისი აზრების ლოღიკური წინააღმდეგობა.

ი. გ. გომართელი. არ უარ-ჰყოფს იმ აზრს, რომ ერობამ რუსეთში ხალხს სარგებლობა მოუტანა, მაგრამ ეს სარგებლობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ არც კი ღირს მაზედ ლაპარაკით. მე ერობის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ ბიუროკრატულ წყობილებასთან მისი მოთავსება კი შეუძლებლად მამაჩნია. ამიტომ მე საჭიროდ არა ვცნობ რაიმე საერობო დებულების განხილვასა და შეცვლა-შესწორებას მანამდის, სანამ არ გვექმნება გარანტია დამფუძნებელ კრების მოწვევისა.

გ ფ. ზდანოვიჩი საჭიროდ ჰპოებს, რომ შედგენილ იქმნეს საერობო დებულების პროექტი, რომ ხალხი გაეცნოს მას, გაიგოს, საითკენ უნდა მიისწრაფოდეს და შეგნებულად დაადგეს პროგრესის გზას. თუ რომ ხალხი შეგნებულად მუშაობს და მიისწრაფის თავის მიზნისაკენ, მაშინ საშიში სრულიად არაა, რომ მას წაართმევენ მინიჭებულ უფლებას; და თუ ხალხი შეუგნებელია, მაშინ სულ ერთია, მთავრობისაგან ექმნება მოცემული ეს უფლება, თუ პარტიისაგან,—მაინც დაჰკარგავს მას. მე საჭიროდ მამაჩნია ხალხის სახელმძღვანელოდ საერობო დებულების პროექტის შედგენა. მხოლოდ ჩვენ უნდა შევიმუშაოთ ისეთი პროექტი, როგორიც ჩვენთვის საჭიროა.

თავმჯდომარემ გამორკვეულად სცნო კითხვა იმ მხრით, რომ პრინციპიალურად ერობის წინააღმდეგი არავინ იყო. უთანხმოებას იწვევდა მხოლოდ ის კითხვა, თუ რა პირობებით და რა საფუძვლით შეიძლება ჩვენში ერობის შემოღება. ამის შემდეგ თავმჯდომარემ სხდომა 5 სექტემბრისთვის გადასდო.

ისარიძე.

—

სიღნაღი. საერობო არჩევნები ჩვენში 29 აგვისტოს დაიწყო. არჩეულ იქმნა 13 კაცი გლეხთა საზოგადოებათაგან, ორი ქალაქ სიღნაღიდან, 4 მსხვილ მემამულეთაგან და ექვსიც წვრილ მემამულეთაგან. ამ არჩეულ პირთაგან თათბირი უნდა დაწყებულიყო პირველს ენკენისთვეს. პირველსავე კრებაზე არჩეულ პირთა ორი მესამედიც არ გამოცხადდა. კრებას თავმჯდომარეობდა სამაზრო მარშლის თანაშემწე თავ. მიხ. რევ. ვაჩნაძე. კაცი ვერ, იტყვის, რომ ეს პირველი ჩვენი საარჩევნო გამოცდა ჩვენს მომწიფებას ამტკიცებდეს. სათათბიროში მოექცნენ ისეთი პირები, რომელთაც ერობისა არც თავი გაეგებოდათ, არც ბოლო. ეს იყო მიზეზი, რომ კრებები უნაყოფო და უშინაარსო იყო, ვიდრე მოვიდოდა ქალაქიდამ წევრი კრებისა ლ. ღარჩიაშვილი.

ამის მოსვლამ საქმიანობა შეიტანა კრებაში. ჯერ ერთი, რომ ამან მოიტანა ქალაქიდამ ქუთათურების მიერ შემუშავებული საერობო დებულება, წაუკითხა კრებას და ურჩია მიეღოთ იგი, ან სავსებით, ანუ ცვლილებით. კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა: გაეშინჯა. ქუთაისის დებულება, შეედარებინა ციმბირის და 1864 წლის დებულებებთან, შეემუშავებინა ამ წესით ისეთი დებულება, რომელიც მომეტებულად შეეფერებოდეს ჩვენს ცხოვრებასა და მოთხოვნილებებს.

კომისიამ შეიმუშავა დებულება, რომელიც ბევრით არაფრით განსხვავდება ქუთაისისასა და ციმბირის დებულებათაგან. ეს დებულება იწყება ასე: ვიდრე კავკასია ავტონომიას მოიპოვებდეს, მის უმაღლესს საერობო დაწესებულებას შეადგენს სეიმი, შემდგარი საგუბერნიო ერობათა-მიერ არჩეულ პირთაგან. ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ სიტყვა ,,ავტონომია" ზოგიერთათვის „წითელი ხელსახოცია".

დაიწყო უშველებელი დავიდარაბა: გვინდა, თუ არ გვინდა ავტონომია? აქ გადმოიშალა ,,მოგზაურის" მთელი არგუმენტაცია, რომლის მიზანი იყო დაემტკიცებინა, რომ ავტონომია ჩვენთვის საზარალოა.

დადგეს ყუთი. 14 ხმა შუაზე გაიყო; ნახევარის აზრით დებულებიდამ „უეჭველად" უნდა ამოშლილიყო ის მავნე სიტყვები: „ვიდრე კავკასია მიიღებდეს ავტონომიას", ხოლო მეორე აზრით კი უნდა დარჩენილიყო. მცირედის კამათის შემდეგ საკითხს მეორედ ნამოუტარეს კენჭი და მაშინ კი მიღებულ იქმნა: დარჩეს ავტონომია.

დანარჩენი ყველა მუხლები ერთხმად მიიღეს. შემდეგ აირჩიეს საგუბერნიო კრებაზე დასასწრებლად ხუთი პირი: ღარჩიაშვილი, ახმეტელაშვილი, გომელაშვილი, ანდრონიკაშვილი ჯ. და გონაშვილი. ნამესტნიკის სათათბიროში დასასწრებლად—იგივე ლ. ღარჩიაშვილი.

ნებართვა მოვიდა და სიღნაღში იხსნება სამკითხველო და ბიბლიოთეკა.

ნაცნობი.

ერთი ტერმინის გამო

ეს მცირედი შენიშვნა გამოწვეულია იმ ახალი ტერმინის გამო, რომელიც 6 აგვისტოს უმაღლესად რუსეთის სახელმწიფოს მიეცა. ამ დღიდან ჟურნალ-გაზეთებში შეხვდებით ახალ დაწესებულების სახელს—Государственная дума. რანაირად უნდა მოიქცნენ უცხო ენაზე ამ ტერმინის გადაცემის დროს? უნდა ითარგმნოს ორივე სიტყვა, როგორც მაგალითად ,,ივერიამ" განმარტა, თუ მხოლოდ ნაწილი ამ ტერმინისა საკმარისია გადადებულ იქმნას არა-რუსულს ენაზე? ,,ივერია" სთარგმნის „Государственная Дума"-ს სახელმწიფო „სათათბირო"-დ, როგორც „Государственный Совѣтъ"-ს—„სახელმწიფო საბჭო"-დ. ორი მოსაზრებით ჩვენ პირველი ტერმინის გადმოქართულება არ მიგვაჩნია სამართლიანად. «Дума» ს გადათარგმნა „სათათბიროდ" არ არის მისაღები პირველად იმიტომ, რომ სიტყვა ,,თათბირი" ქართული არ არის, მაშასადამე, უცხო ენიდგან ნასესხი ტერმინის აღნიშვნა მეორე უცხო ენის დახმარებით სამშობლო ენის ნიადაგს ეხამუშება. თუ ჩვენს ენაში არ მოიპოვება ახალი ტერმინის პირდაპირი შესაფერი სიტყვა, მაშინ საუმჯობესოა დატოვებულ იქმნას უთარგმნელად ტერმინი იმ ენისა, რომლის ფესვსაც იგი შეიცავს. ,,Дума" რუსული სიტყვაა და აღმოსავლეთის (არაბულ) სიტყვით ,,თათბირი" ქართულს მწერლობაში დამკვიდრება უსაფუძვლო ნეოლოგიზმია. მეორეც ის გვაქვს ჩვენი მოსაზრების დასამტკიცებლად, რომ ევროპიულს ენაზე სიტყვა „Дума" დასტოვეს გადაუთარგმნელად. ჩვენ განგებ გადავათვალიერეთ ინგლისური, ფრანგული და გერმანული გაზეთები და იქ შევხედით „Государственная Дума"-ს ამ ნაირად გადაღებულს, ინგლისურად: ,,სტატე დუმა" ფრანგულად: ,,დუმა დ'ემპირ", გერმანულად ,,სტატს დუმა". როგორც ხედავთ იმ ორი სიტყვიდა, რომელიც შეადგენს ახალი ტერმინის გარევან გამოხატვას, ევროპიელნი სთარგმნიან პირველს ნაწილს (Государственная) და უთარგმნელად სტოვებენ მეორე სიტყვას („Дума"-ს). ჩემის აზრით ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ და „Государственная Дума" ვთარგმნოთ „სახელმწიფო დუმა"-დ. მართალია ეს სიტყვა ორხმოვანია, მაგრამ ამას არ უნდა შევუშინდეთ და ერთხელ მისი შინაარსის განმარტების შემდეგ ვახმაროთ იგი, როცა საჭიროება მოითხოვს. მართლაც, თუ კი ქართულად ვტოვებთ უთარგმნელად ტერმინებს: პარლამენტი, რეიხსტაგი, სტორტინგი, სკუპჩინა და სხვ., რატომ უნდა დამახინჯებულად უცხო ენისავე დახმარებით გადმოვაქართულოთ რუსული «дума"? ჩვენთვის ,,პარლამენტი" და ,,დუმა" ერთგვარად უცხო სიტყვები არიან და რადგან ჩვენს სახელმწიფო უფლებაში არ იყო (,,დარბაზი" გიორგი ბრწყინვალეს კანონებში უდრის ,,COBѢTЪ"-ს) дума-ს შესაფერი ტერმინი და მისი გამომხატველი დაწესებულება, ამისათვის რუსეთში ახლად დაარსებულს დაწესებულებას უნდა დავარქვათ ჩვენი ენის და ისტორიის მოთხოვნილებისამებრ: სახელმწიფო დუმა.

ა. ხახანაშვილი.

რუსეთი

ხაზინამ $6^{1}/_{2}$ მილიონი მანათი გადასდო **დამშეულთათვის.**

✦ კიევის სამოსამართლო პალატამ, 5 სექტემბერს, დაიწყო განხილვა 167 გლეხის საქმისა. გლეხებს ტერეშჩენკოსი და სხვა **მდიდარ მემამულეების აკლება ბრალდებათ.** მემამულეები $1^{1}/_{2}$ მილიონ მანათის გადახდას თხოულობენ. პირადად ტერეშჩენკოსთვის 2 მილიონ მანათის ზარალი მიუყენებიათ გლეხებს (რ.).

✦ 23 სექტემბერს პეტერბურგის სამოსამართლო პოლატა გაარჩევს საქმეს სტუდენტების გერსიმოვისა და ნიკიტინისა, კურსისტკის მანაევისა და შვიდ მატროსისა, რომელთაც ბრალად ედებათ სოციალისტ-რევოლუციონერთა **პარტიაში წევრებად ყოფნა** და მატროსებში მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციების გავრცელება. გარდა ამისა, ზემოხსენებულნი მატროსებში და სალდათებში სარევოლუციო ლექციებს კითხულობდნენ (რ. ვ.).

✦ ქალაქ ტაშკენტში, ტაშკენტისა, ჩიმკენტისა და აულიეტინის მაზრებში და სირ-დარიისა და ფერგანის ოლქებში გაძლიერებულ დაცვის წესი ერთი წლით კიდევ შემოიღეს, ე. ი. 1906 წლის 10 სექტემბრამდის (რ.).

✦ ქალაქ კოტკეში (ფინლანდიაში) 78 კაცმა მთავრობას **უკანვე დაუბრუნეს** სამღვდელოებისათვის გაწერილ გადასახადის ფურცლები და განაცხადეს, ჩვენ ვერ შევინახავთ მღვდლებსა და ეკლესიებს, რადგან ამათ მხოლოდ ზარალი მოაქვთ ხალხისთვისო (ს. ო.).

✦ ვექილი გოლდენვეიზერი მთავრობამ **სამართალში მისცა** იმის გამო, რომ ის ვექილთა კავშირში ირიცხებოდა (ს. ო.).

✦ ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, განთქმული თვალის ექიმი **სამსახურიდან დაითხოვეს.**

✦ ფინანსთა სამინისტრომ მომავალ წლის ბიუჯეტის შედგენის დროს შემოსავალს **მოაკლო 37 მილიონი მანათი,** რომელიც სავთის პირდაპირ გადასახადიდან შემოდიოდა (რ.).

✦ ამას წინად ხმა გავრცელდა, „მოსკ. ვედ"-ის რედაქტორი კარლ ამალია გრინგმუტი რედაქტორობას თავს ანებებსო. ახლა ,,მოსკ. ვედ"-ის რედაქცია საყოველთაოდ აცხადებს, რომ **გრინგმუტი რედაქტორობას თავს არ ანებებსო და არც დაანებებსო.** ეს ჭორი ჩვენმა მტრებმა გაავრცელეს, მაგრამ ტყუილი იმედი აქვთო (მ. ვ.).

კორესპონდენცია

სოფელი მეტეხი (გორის მაზრა). 22 აგვისტოს. როგორც ამ სოფლის, ისე ქართლის სხვა სოფლის მხვნელ-მთესველთ წლეულაც არ გაუღიმა ბუნებამ და ხალხი კვლავ დიდ საგონებელში ჩააგდო. ამ ბოლოს დროის ხშირმა წვიმებმა მინდვრად და სოფლად მოტანილი ყანები თითქმის ნახევრად გააფუჭა; ხალხმა სრულებით იმედი დაჰკარგა, რომ მოიქონიოს სამყოფი საკვები და სათესი პირნახული; წვიმებმავე და ქარებმა გააფუჭეს აგრედვე ვენახები. ვენახები, ჯერ ისევ ყვავილის დროს, დიდმა ქარებმა გააფუჭა, ახლა კი სხვადასხვა სენი უღებს ბოლოს. ყურძნის მტევნებს მარცვლები უშავდება და სცვივა, ამნაირად, მიწის მუშა წელსაც სტიქიურისა და სხვადასხვა მოვლენის მსხვერპლი შეიქმნა და გაწეულმა ხარჯმა ამის გამო ამაოდ ჩაიარა. წრევანდელ ერთ დღიურ ყანას გამოდის არა უმეტესს 6—7 კოდი პურისა, ხარჯი კი ერთ დღიურ მიწის შემუშავებაზედ, აი, რა მიდის: ალო თავის დაფარცხვით—ექვსი მანათი, მომკა ოთხი მანათი და გალეწვას კი არ ვანგარიშობ, რადგანაც ბზის ნაფასური ლეწს ყანას.

ამჟამად ახალ-ქალაქში იმყოფება კომისია, რომელიც იკვლევს გლეხთა მოძრაობით გამოწვეულ ზარალს.

ერთმა მემამულემ, სხვათა შორის, კომისიას წარუდგინა საჩივარში, რომ მუშაობის აღკრძალვისა გამო, ვენახები წრეულ შეუმუშავებელი დამრჩა და ამით დიდი ზარალი მომეცაო. ამაზე გლეხკაცებმა უპასუხეს: თვით მემამულეა მიზეზი თავის ვენახების შეუმუშავებისა და არა ჩვენაო, რაც დაამტკიცეს კიდეც.

წრევანდელ მოძრაობის მიზეზის გამო ახალქალაში თითქმის არავინ მოსულა საგარაკოდ; ეს ქართლის ერთი საუკეთესო საგარაკოთაგანია, თავის უხვის მთის წყაროებით, ამ ზაფხულს მხოლოდ კაზაკ-რუსების ბანაკად შეიქმნა.

დათიკო.

გეთში. მოძრაობა თანდათან გაიზარდა, გაფართოვდა, მთელ საფრანგეთს მოედო და ბოლოს სავსებით გამოიხატა ნანსის პროგრამაში, რომლის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის მოწინავე საზოგადოებამ. მათ შორის იყვნენ: შემარი, ბორო, როდო, ლიბერალები ლაბულე, პრევო, პარადოლი, ელიას რენიო, ვექილების მეთაური ბერიე, მომავალი მესამე რესპუბლიკის სამი მინისტრი ჟიულ სიმონი, ჟიულ ფავრი და ჟიულ ფერრი, ლიბერალი კათოლიკენი მონტალამბერი, ფალუ, პაესი, პელტანი, ისტორიკოსი გიზო და რადიკალიზმის დოგმატიკოსი ვაშრო და სხვ. კრებამ პირდაპირ დაადგინა, „მიუხედავად პარტიულ მოსაზრებისა, ხელი შეუწყონ დეცენტრალიზაციის გამარჯვებას, რომელიც ხალხს თავისუფლებას მიანიჭებს და დეპარტამენტებს" თვითმმართველობას მისცემსო. ნანსის დეცენტრალისტებს უნდოდათ დეცენტრალიზაციის საშუალებით „საფრანგეთი პარიზის კანცელარიების კლანჭებიდან დაეხსნათ„ და „ხალხისთვის პოლიტიკური თავისუფლება მოეპოვებინათ". მომავალმა მინისტრმა ჟიულ ფერრიმ პირდაპირ ურჩია საფრანგეთს: „საფრანგეთს სუსტი მთავრობა ესაჭიროებაო". ბარრო აცხადებდა, რომ „ძლიერი მთავრობა მხოლოდ დემაგოგებს უნდათო".

ნანსის პროგრამა უარყვეს მხოლოდ უკიდურესმა მონარქისტებმა და უკიდურესმა რევოლუციონერებმა, რომელთაც თავისუფლების რევოლუცია ურჩევნოდათ. ამ რევოლუციონერების ერთმა დეცენტრალისტმა ვ. ჰიუგოს სიტყვებით უპასუხა: „თქვენ ბორკილებს ამზადებთ და ამბობთ, აი თავისუფლებაო".

საფრანგეთის ცენტრალიზაცია 1871 წლის დამარცხებით გათავდა. მონარქია ხელმეორედ დამარცხდა და მის მაგივრად მესამე რესპუბლიკა გამოცხადდა. ეროვნულ კრების მიერ არჩეულ „სადეცენტრალიზაციო კომისიას" უნდა გადაეწყვიტა, დეპარტამენტს თავისი დამოუკიდებელი აღმასრულებელი ორგანო უნდა მისცემოდა, თუ ეს ორგანო ისევ ცენტრალურ მთავრობის ხელში უნდა ყოფილიყო. კომისია პრინციპიალურად თანახმა იყო, რომ დეპარტამენტებს საკუთარი აღმასრულებელი ორგანო მისცემოდათ, მაგრამ ეს უნდა განხორციელებულიყო თანდათან. ტიერის დახმარებით დეცენტრალიზაციის პროექტი „შესწორდა", შეიკვეცა, ახლად გამოიჭრა და ეროვნულ კრებას გადაეცა. უკიდურეს მემარჯვენეთა და უკიდურეს მემარცხენეთა დახმარებით, პროექტი კიდევ „შეასწორეს", მესამედ გამოსჭრეს და კანონად აქციეს. დეცენტრალისტების პროექტის მხოლოდ ერთი მხარე განხორციელდა: სადეპარტამენტო საბჭოს უფლებანი გააფართოვეს და გააძლიერეს, მაგრამ აღმასრულებელი ძალა მაინც პრეფექტს შერჩა; ხალხის მონაწილეობის მიღება ადგილობრივ ადმინისტრატიულ საქმეებში კი ახლაც პროექტად არის დარჩენილი. ამრიგად არ განხორციელდა ერთი უმთავრესი მოთხოვნილება დეცენტრალისტებისა, რომელნიც ამბობდნენ: პარლამენტარიზმი და თავისუფლება შეუძლებელია იქ, სადაც მოქალაქე ყოველდღიურ მონაწილეობას არ იღებს საზოგადო საქმეში: ხალხის პოლიტიკური აღზრდა და მოქალაქობრივი გაწვრთნა შეიძლება მხოლოდ დეცენტრალიზაციით, რომელიც ყოველ მოქალაქეს აქტიურ მონაწილეობას მიაღებინებს პოლიტიკურ საქმეებში და ამით მას აღზრდის, გამოსცდის და პოლიტიკურ გულგრილობის ძილიდან გამოაღვიძებსო.

ამრიგად, საფრანგეთის დეცენტრალისტების პროგრამა სავსებით ჯერ-ჯერობით ვერ განხორციელდა. უმთავრესი მიზეზი ამისა და ცენტრალიზაციის დროებით გამარჯვებისა ის არის, რომ როგორც ზევითაც ვთქვით, საფრანგეთი თავის მცირე ტერიტორიისა და ერთეროვნების გამო ისეთ კარგ ნიადაგს არ წარმოადგენს დეცენტრალიზაციისთვის, როგორისაც, მაგალითად, ინგლისი, შვეიცარია, ავსტრია, რუსეთი და ჩრდილოეთ ამერიკის ფედერატიული შტატები. შვეიცარიაში იმიტომ განხორციელდა დეცენტრალიზაცია, რომ იქ რამდენიმე ეროვნება ცხოვრობს; ინგლისში იმიტომ, რომ, ჯერ ერთი იქაც რამდენიმე ეროვნება ცხოვრობს და მეორე,—ინგლისს უჭირავს უშველებელი ტერიტორია, რომელიც, გარდა ამისა, გაერთიანებულიც არ არის; ამერიკაში იმიტომ, რომ მასაც დიდი ტერიტორია უჭირავს. ადრე თუ გვიან, რუსეთიც ამ გზას დაადგება: უშველებელი ტერიტორია და მრავალი ეროვნება დეცენტრალიზაციის ბუნებრივ აუცილებლობას შეადგენს. დიფერენციაცია აქაც ისეთივე ისტორიული აუცილებლობაა, როგორც ყველაფერში და, რამდენიც უნდა ეცადნენ „პატრიოტები", რეაქციონერები და სოც.-დემოკრატები, ცხოვრებას მაინც ვერ შეაჩერებენ. რუსეთის სახელმწიფოს პირობები ისეთია, რომ აქ მხოლოდ დეცენტრალიზაციის საფუძველზე შეიძლება სხვადასხვა ხალხთა ნორმალური და დაუბრკოლებელი განვითარება...

მ. ალ—ლი.

ღამის დეპეშები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

12 სექტემბერი.

მოსკოვი, 11 სექტემბერი. საერობო და ქალაქის მოღვაწეთა შეკრებულების ბიურო ორშაბათისთვის უკვე მოემზადა. კრების გახსნას პრესის წარმომადგენლებიც დაესწრებიან. კრებაზე, სხვათა შორის, ინგლისის პუბლიცისტი სტედიც იქნება.

მოსკოვ-კურსკის რკინის გზის სადგურ ცარიცინასთან საქონლის ორი მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა. მოკვდა ერთი კონდუქტორი, მძიმედ ექვსი კაცი დაშავდა. ორი ვაგონი დაიმტვრა.—გზათა მინისტრი სევასტოპოლიდან მოვიდა.—მთელს გუბერნიაში ქუნთრუშა მძვინვარებს.

ვარშავა, 11 სექტემბერი. ებრაულ გაზეთების ცნობებით ნოვოგეორგიევსკში იცნეს და დაიჭირეს ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის სტუდენტი, ებრაელი ფელდმანი, ,,გიორგი პობედონოსეც"-ის აჯანყებულ მატროსების მეთაური.

სიმფეროპოლი, 11 სექტემბერი. მოლოკანებს ბერდიანსკის მაზრის სოფელ ასტრახანკაში თავიანთ შვილებისათვის გიმნაზიის დაარსება სურთ.

ბუდაპეშტი, 11 სექტემბერი. გაზეთების სიტყვით, კოალიციის მეთაურებს ჩირაკისთვის წერილობითი პასუხი გადაუციათ. ამ პასუხში ის აზრია გამოთქმული, რომ საკოალიციო უმრავლესობის წარმომადგენლებს, სამწუხაროდ, არ შეუძლიანთ მიიღონ წარმოდგენილი პირობები, რადგანაც ეს პირობები საპარლამენტო უმრავლესობის შეხედულებებს ეწინააღმდეგება.

ბერლინი, 11 სექტემბერი. ვიტტემ სადამოთი სტატს-სეკრეტარი რიხტჰოფენი ინახულა.

კოსტრომა, 11 სექტემბერი. დამშეულთა სასარგებლოდ ერობამ ხელის-მოწერა გამართა.

რიგა, 11 სექტემბერი. ლიფლიანდიის გუბერნიაში, ნიტაუში, პასტორ შილლინგის სახლს სროლა აუტეხეს.

ბერლინი, 11 სექტემბერი. ხოლერის თავიდან ასაცილებლად ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ-

ტოკიო, 11 სექტემბერი. ის ცნობები, ვითომც იაპონიას კონტრიბუციის საკითხში კომურას დაუკითხავად დაეთმოს, სიმართლეს მოკლებულია.—ინგლისის ესკადრა შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის ფლოტს ოქტომბრის პირველ რიცხვებში, ზავის რატიფიკაციის შემდეგ შეხვდება.—ჩინეთმა რუსეთსა და იაპონიას შეატყობინა, რომ მანჯურიის ევაკუაციისთვის დანიშნული ვადა ძალიან ცოტა არისო. ამასთანავე, ჩინეთს არა სურს, რომ რკინის გზის გასწვრივ იაპონელებს ჯარის-კაცები ჰყავდეთ ჩაყენებული.

ნიუ იორკი, 12 სექტემბერი. კომურა ოთახიდან გუშინ პირველად გამოვიდა.

სტამბოლი, 11 სექტემბერი. პორტამ უბრძანა, თვალ-ყური ადევნონ ჯემს ბრუსს, ინგლისის პარლამენტის წევრს, რომელიც ამჟამად მაკედონიაში მოგზაურობსო.

სტამბოლი, 11 სექტემბერი. ბერძნები კიდევ თავს ესხმიან მშვიდობიან ბულგარელებს, განსაკუთრებით სალონიკის ვილაიეტში. ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა, მაკედონია ოთხს კატეგორიად დაჰყოს: მუსულმანებად, მართლ-მადიდებლებად, კათოლიკებად და ებრაელებად. ბერძნები ამ ნაირ დანაწილებას სიხარულით მიეგებნენ, თუმცა ეშინიანთ, ბულგარელებსა, ბერძნებსა და კუცოვალახელებს შუა ბრძოლა უფრო არ გამწვავდეს. ლიუმის მახლობლად ალბანელების აჯანყებამ იფეთქა.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდან.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილით 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 წ.)ს. 31

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3 სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 6 წ. (11 ს. 7 წ.).

ე) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ)

—

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევა. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიმიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ავჭალის ქუჩაზე დაარსდა

ჭრა-კერვის ახალი სკოლა

ვასწავლით თეთრეულობის კერვას და აბრეშუმის ძაფებით და ოქრომკედით მოქარგვას. სკოლაში სამი განყოფილებაა. სწავლის ფასი—შეძლებისამებრ. მოწაფეებს მივიღებთ მხოლოდ 22 ღვინობისთვემდე.

ჩვენი ადრესი: **ავჭალის ქუჩა, სახლი ყულუმბაროვისა № 33.** 4—4.

Въ Центральной книжной торговлѣ въ Тифлисѣ заготовлены учебники, учебныя пособія и книги для домашняго чтенія учащихся въ среднихъ и низшихъ учебныхъ заведеніяхъ. Тамъ же имѣются и постоянно получаются общедоступныя изданія по современнымъ общественнымъ вопросамъ. (3—16).

1 ენკენისთვიდან ქუთაისის სამეურნეო ამხ.

„კოლხიდა"-ს კანტორა გადავიდა **ზაქარია კოკოჩაშვილის** სახლებში, ალექსანდროვის ქუჩაზე, ქალაქის ბაღის მახლობლად.

აქვე დაარსდა

ჟურნალ-გაზეთების კანტორა

სადაც იყიდება ცალკე ნომრობით ყველა ქართულ-რუსული ჟურნალ-გაზეთები და მიიღება იმათზე ხელის მოწერა. 3—3

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა"-ს გამოცემ

სამშობლოსათვის თავდადებულნი	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა	20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა	20

დარბაზის ქაღალდად მოსართავი სურათები:

შოთა რუსთაველისა, დიდი 50 კ., აკაკისა 40 კ., ილია ჭავჭავაძისა 43 კ., რაფიელ ერისთავისა 40 კ., ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ., ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ. ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ., საქართველოს დიდება 1 მ. 20 კ., თამარ მეფის დიდი სურათი 1 მ. 50 კაპ. და პატარა 6 კაპ.

და სხვა ყოველგვარი წიგნები.

მისამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა" **ხარიტონ მერკვილაძე.** (20—2

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა

ტ ფ ი ლ ი ს შ ი:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში
ღია არის დილით 10—2 საათ.
" " საღამ. 5—7 "
კვირა-უქმე—დილით 11—1 "
2. ნაძალადევში, ვოლოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
" " საღამ. 5—9 "
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
" " საღამ. " 5—8

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი

ბრძოლა არსებობისთვის

დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად და სხვადასხვა ლექსები და პოემები დ. გაბრიშვილისა. ისყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—

Дозволено цензурою' Тифлисъ, 12 Сентября 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5.